186
1989/2

2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი — ოქტომბერი

1989 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1989 წ.

19986

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

86. საქართველოს სს რესპუბლიკაში მეკაკლეობის შემდგომი განვითარებისა და თხილ-კაკლის ნარგავების ფართობების გაზრდის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივნისის № 446 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 4 მაისის № 368 დადგენილების შეცვლის შესახებ.

87. „სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების მომატებისა და დაბალრენტაბელური და ზარალიანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი პროდუქციის შესასყიდი ფასების ღანამატების შემოღების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 დეკემბრის № 839 დადგენილების № 5 დანართში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის თაობაზე.

88. რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების ყოველწლიური გამოყოფის საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ცალკეული პუნქტების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

89. საქართველოს სსრ ექიმთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

90. ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტისათვის ხალხთა მეგობრობის სახელის მიკუთვნების შესახებ.

91. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 20 ივლისის № 574 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე.

92. ქალაქ რუსთავში წიდაგადასამუშავებელი საწარმოს შექმნის შესახებ.

93 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რესპუბლიკაში ავარიების, კატასტროფებისა და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის მუდმივი საგანგებო კომისიის დასახელების შეცვლის შესახებ.

94. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ.

95. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წესდების რეგისტრაციის შესახებ.

96. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ინფორმატიკის“ შექმნის შესახებ.

97. საქართველოს სსრ მეტალურგთა კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

98. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 27 ივლისის № 360 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

99. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 17 აგვისტოს № 657 დადგენილების შესახებ.

100. საქართველოს სსრ მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის ლიტერატურული ურთიერთობის სახლთან ქართული პუშკინიანის ცენტრის შექმნის შესახებ.

101. გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სახალხო თეატრისათვის ვ. დ. გოძიაშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.

102. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის სრულყოფისა და იურიდიული სამსახურის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

103. საქართველოს კულტურის საქველმოქმედო საზოგადოების (საქართველოს კულტურის ასოციაცია „პეგასის“) წესდების რეგისტრაციის შესახებ.

104. რესპუბლიკაში კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო დაწესებულებათა ქსელის მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.

105. პროფესორ გ. ადამიას სახელის უკვდავყოფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

დადგენილებები

86 „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეკაკალეობის შემდგომი განვითარებისა და თხილ-კაკლის ნარგავების ფართობების გაზრდის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივნისის № 446 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 4 მაისის № 368 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, თელავის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება და შეწყდეს თელავის რაიონში დაბალი ღირსებისა და პროდუქტიულობის, დეგრადირებული ტყეების რეკონსტრუქციის ხარჯზე კაკლის სპეციალიზებული პლანტაციის გაშენება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 4 მაისის № 368 დადგენილების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პირველი ნაწილი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. გუმბარიძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

ქ. თბილისი, 1989 წ. 24 ოქტომბერი, № 522

ეროვნული ბიბლიოთეკა

87 „სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების მომატებისა და დაბალრენტაბელური და ზარალიანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი პროდუქციის შესასყიდი ფასების დანამატების შემოღების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 დეკემბრის № 839 დადგენილების № 5 დანართში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თხოვნა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 დეკემბრის № 839 დადგენილების № 5 დანართში აღნიშნული I ზონის შესასყიდი ფასები გავრცელდეს გარდაბნის რაიონის ზედა ზონის მარტყოფისა და სართიჭალის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდ (მოსახლეობაში სარეალიზაციო) ახალ წითელ პამიდორზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. გუმბარიძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

ქ. თბილისი, 1989 წ. 24 ოქტომბერი, № 523

ეროვნული ბიბლიოთეკა

88 რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების წლიური გამოყოფის საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ცალკეული პუნქტების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ფინანსური ურთიერთობის ორგანიზაციისადმი პრინციპულად ახალი მიდგომის განხორციელების მიზნით, რაც ემყარება სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა სამეურნეო ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას, მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის, გეგმითა და ბიუჯეტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსებისას სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვისათვის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების ყოველწლიური გამოყოფის შესახებ, დანართის თანახმად, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული საჭირო სახსრების გამოყოფა რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შედგენისას, დადგენილი წესით.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გეგმითა და ბიუჯეტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსებისას განუხრელად იხელმძღვანელონ „მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში რესპუბლიკაში საფინანსო მექანიზმის გარდაქმნისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს როლის ამაღლების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 24 ნოემბრის № 596 დადგენილების მოთხოვნებით.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა:

— უზრუნველყონ სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად და მიზანდასახულად გამოყენება;

— არ დაუშვან სამუშაოთა და ღონისძიებათა შესრულება შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გამონახვის გარეშე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. გუმბარიძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

ქ. თბილისი, 1989 წ. 24 ოქტომბერი. № 524

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 24 ოქტომბრის № 524 დადგენილების დანართი

ნუსხა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნაწილობრივ ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. მე-6 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 24 აპრილის № 246 დადგენილებისა „სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინტენსიფიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის ყოველწლიური რესპუბლიკური კონკურსების მოწყობის შესახებ“.

2. მე-9 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 23 დეკემბრის № 757 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

3. 1-ლი პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 31 ოქტომბრის № 686 დადგენილებისა „სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინტენსიფიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის რესპუბლიკური კონკურსების მოწყობის წესის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

4. მე-2 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 ივლისის № 512 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების ყოველწლიურად მინიჭების შესახებ“.

5. მე-8 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 15 იანვრის № 80 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის სახელმწიფო პრემიების შესახებ“.

6. მე-8 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 ივნისის № 442 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახმშენის როლის შემდგომი ამაღლების, მუშაობის გაუმჯობესებისა და აპარატის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

7. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 28 დეკემბრის № 894 დადგენილება „საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების ყოველწლიურად მინიჭების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 ივლისის № 512 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“.

8. მე-5 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 იანვრის № 60 დადგენილებისა „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებულის მომზადებისა და გამოცემის დაჩქარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ და ამ დადგენილების № 2 დანართი.

9. მე-18 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 5 მარტის № 167 დადგენილებისა „ამბროლაურის რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

10. მე-14 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 19 აგვისტოს № 568 დადგენილებისა „ქალაქ სოხუმის საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებათა შესახებ“.

11. მე-15 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 4 ნოემბრის № 720 დადგენილებისა „ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

12. მე-8 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 23 დეკემბრის № 820 დადგენილებისა „ლანჩხუთის რაიონის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ“.

13. მე-7 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 7 აპრილის № 178 დადგენილებისა „ძირითად რესპუბლიკურ, საკავშირო სპორტულ ღონისძიებებსა და 1992 წლის XXV ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ ნაკრები გუნდების მომზადების შესახებ“.

14. მე-2 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 5 მაისის № 248 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში შემოქმედებითი კავშირების საქმიანობის პირობების გაუმჯობესების შესახებ“.

15. მე-4 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 5 მაისის № 251 დადგენილებისა „რესპუბლიკაში არქეოლოგიური კვლევის შემდგომი განვითარებისა და არქეოლოგიურ დაწესებულებათა და ექსპედიციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

16. მე-2 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 27 ოქტომბრის № 552 დადგენილებისა „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 13 ნოემბრის № 806 დადგენილების შესრულების მიმდინარეობისა და ახალქალაქის რაიონის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

17. მე-3 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 24 ნოემბრის № 598 დადგენილებისა „ქალაქ თბილისის კომპლექსური სატრანსპორტო სქემის რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ“.

18. მე-6 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 26 იანვრის № 77 დადგენილებისა „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

19. მე-15 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 1 მარტის № 114 დადგენილებისა „ჩაის პლანტაციების დაჩქარებული აღდგენისა და ჩაის ხარისხის ამაღლების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

20. მე-18 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 10 მარტის № 128 დადგენილებისა „მესტიის რაიონში სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციისა და რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

21. მე-7 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 8 აპრილის № 187 დადგენილებისა „დავით გარეჯის ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის ძეგლთა დაცვის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

22. 34-ე პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 26 აპრილის № 212 დადგენილებისა „1988/89 წლის ზამთრის პერიოდში სამუშაოდ სახალხო მეურნეობის მომზადებისა და სათბობით, ელექტროენერგიითა და თბოენერგიით მოსახლეობის მყარი უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

89 საქართველოს სსრ ექიმთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ექიმთა ასოციაციის წესდება.

საქაოთველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 4 სექტემბერი, № 454

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 4 სექტემბრის № 454
დადგენილებით

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს ექიმთა ასოციაციის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ექიმთა ასოციაცია არის ნებაყოფლობითი, საზოგადოებრივ-პროფესიული ორგანიზაცია, იგი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, ხსნის ანგარიშს ბანკში, განკარგავს საკუთარ ფულად სახსრებს და ქონებას, აქვს ბეჭედი, შტამპი და ემბლემა თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

2. ასოციაცია აერთიანებს საქართველოში მცხოვრებ ექიმებს მათი ეროვნების, სარწმუნოებისა და პარტიულობის მიუხედავად, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველ ექიმებს.

ასოციაციის წევრობა შეუძლია პრაქტიკული და თეორიული მედიცინის სფეროში მომუშავე ყველა ექიმს, რომელიც აღიარებს მის წესდებას.

II. ასოციაციის მიზანი და ამოცანები

1. საქართველოს ექიმთა ასოციაციის მიზანია გარდაქმნას მოსახლეობის სამედიცინო დახმარების სისტემა, ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალიზებული დაფინანსება გადაიყვანოს საყოველთაო დაზღვევის ფორმაზე.

2. ამ მიზნის მისაღწევად ასოციაცია ისახავს შემდეგ ამოცანებს:

ა) დაიცვას ექიმთა მოქალაქეობრივი, პროფესიული, სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები;

ბ) მოახდინოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის დეცენტრალიზაცია;

გ) გაატაროს დემოკრატიისა და საჯაროობის პრინციპები მედიცინის დაწესებულებების მართვაში;

დ) განავითაროს ქართული სამედიცინო მეცნიერება და იზრუნოს მეცნიერულ მიღწევათა პრაქტიკაში დაუყოვნებლივი დანერგვისათვის;

ე) დახვეწოს ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია და იზრუნოს ქართული სამედიცინო ლიტერატურის სრულყოფისა და გამდიდრებისათვის;

ვ) დააარსოს უცხო ენების შემსწავლელი კურსები სამედიცინო სპეციფიკის გათვალისწინებით;

ზ) მოახდინოს მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურის დეპონირება და თარგმნოს მათგან საუკეთესო ნიმუშები;

თ) სრულყოს მედიცინის განათლების სისტემა და იბრძოლოს მისი ავტონომიზაციისათვის;

ი) იზრუნოს სამედიცინო კადრების პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის.

კ) შეისწავლოს და გააშუქოს საქართველოში არსებული დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების სამედიცინო ასპექტები;

ლ) საკონკურსო საფუძველზე წაახალისოს პრიორიტეტული სამედიცინო გამოკვლევები;

მ) შემოქმედებითი კავშირი დაამყაროს სამედიცინო-ტექნიკურ სფეროში მომუშავე სპეციალისტებთან;

ნ) იზრუნოს საშუალო და დაბალი სამედიცინო პერსონალის პროფესიული დონის ამაღლებისათვის და დაიცვას მათი იურიდიული უფლებები;

ო) დააარსოს ასოციაციის ბეჭდვითი ორგანო;

პ) დააწესოს საქართველოში მოღვაწე ექიმებისათვის სავალდებულო მინიმუმი ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიაში.

ასოციაცია მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის არსებული კანონმდებლობისა და წესდების საფუძველზე.

III. ასოციაციის შემადგენლობა. წევრთა უფლება-მოვალეობანი

1. ასოციაცია შედგება ნამდვილი და საპატიო წევრებისაგან, აგრეთვე წევრ-კორესპონდენტებისაგან.

2. ასოციაციის ნამდვილი წევრი შეიძლება გახდეს საქართველოში მცხოვრები ყველა ექიმი ეროვნების, სარწმუნოების, პარტიულობის მიუხედავად, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი ექიმები.

3. ასოციაციაში ნამდვილ წევრს ღებულობს პირველადი ორგანიზაცია პირადი განცხადების საფუძველზე.

4. ასოციაციის საპატიო წევრს ირჩევს ყრილობა. საპატიო წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ექიმი მედიცინაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის. საპატიო წევრი სარგებლობს საარჩევნო ხმის უფლებით.

5. წევრ-კორესპონდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ექიმი, მიუხედავად მისი ეროვნებისა, საარჩევნო ხმის უფლების გარეშე.

6. ასოციაციის წევრს უფლება აქვს აირჩიოს ან არჩეულ იქნეს ექიმთა ასოციაციის ნებისმიერ რგოლში.

7. ასოციაციის წევრი სარგებლობს ასოციაციის დახმარებით პროფესიული და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში.

8. ასოციაციის წევრი სურვილისამებრ მონაწილეობს ასოციაციაში შემოსულ ყველა საკითხის განხილვაში, სარგებლობს ასოციაციის ატრიბუტით.

9. ასოციაციის წევრს უფლება აქვს თავისი სურვილით გავიდეს ორგანიზაციიდან.

10. თუ ასოციაციის წევრის მოქმედება ეწინააღმდეგება წესდებას და საექიმო ეთიკის პრინციპებს, იგი შეიძლება გაირიცხოს ასოციაციიდან. გარიცხვა წარმოებს პირველადი ორგანიზაციის კრებაზე, რომელსაც უნდა ესწრებოდეს წევრთა ორი მესამედი მაინც. გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ მიიღება ფარული კენჭისყრით, ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით.

11. ასოციაციიდან გარიცხული წევრის აღდგენა შესაძლებელია პირველადი ორგანიზაციის კრებაზე, გარიცხვიდან არა უადრეს ერთი წლისა.

12. ასოციაციის წევრი ვალდებულია სცნოს სხვა წევრთა უფლებები, აღიაროს წესდება, შეიტანოს საწევრო გადასახადი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში.

IV. ასოციაციის სტრუქტურა და მისი ხელმძღვანელი ორგანოები

1. ასოციაციის ყველა ხელმძღვანელი ორგანო ირჩევა ფარული კენჭისყრით.

2. პირველადი ორგანიზაციები იქმნება ტერიტორიული ან სამუშაო ადგილის მიხედვით. მათი შექმნა შესაძლებელია ასოციაციის ათი წევრის არსებობისას. ახლად შექმნილ პირველად ორგანიზაციას რეგისტრაციაში ატარებს ასოციაციის გამგეობა. პირველად ორგანიზაციას ჰყავს თავმჯდომარე, მდივანი და ხაზინადარი. პირველადი ორგანიზაციის მოქმედების სფერო განისაზღვრება ასოციაციის უმაღლესი ორგანოს მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე.

3. ასოციაციის უმაღლესი ორგანოა ყრილობა. მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა ასოციაციის ყველა წევრისათვის:

ა) ყრილობას ამზადებს და იწვევს გამგეობა. ყრილობის დღის წესრიგს შეიმუშავებს გამგეობა პირველადი ორგანიზაციების წინადადებების საფუძველზე.

ბ) ასოციაციის რიგგარეშე ყრილობის მოწვევა ხდება გამგეობის წევრთა ერთი მესამედის ინიციატივით;

გ) ყრილობის მოწვევა და დღის წესრიგი ეცნობა პირველად ორგანიზაციებს ყრილობის ჩატარებამდე ორი თვით ადრე;

დ) ყრილობა ღებულობს წესდებას და პროგრამას, ირჩევს გამგეობას და სარევიზიო კომისიას, განიხილავს ასოციაციის მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ისმენს არჩევითი ორგანოების ანგარიშს და აფასებს გაწეულ მუშაობას, ამტკიცებს ასოციაციის ბიუჯეტს, ასოციაციის პრეზიდენტს, მუდმივმოქმედ სპეციალიზებულ კომისიებს და სამუშაო ჯგუფებს;

ე) ყრილობის დელეგატებს პირველადი ორგანიზაციები ირჩევენ თავისი წევრებისაგან. თითოეულმა პირველადმა ორგანიზაციამ შეიძლება აირჩიოს ყრილობის ორი დელეგატი;

ვ) ყრილობა უფლებამოსილია გამოიწვიოს გამგეობის ნებისმიერი წევრი ან მისი მთლიანი შემადგენლობა;

ზ) ყრილობა მოიწვევა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

თ) გამგეობა ყრილობებს შორის ასოციაციის მმართველობითი ორგანოა. გამგეობის შემადგენლობას და წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს ყრილობა.

4. ასოციაციის გამგეობა:

ა) უზრუნველყოფს ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებას;

ბ) ყრილობის მუშაობის პერიოდში ქმნის სამუშაო ჯგუფს და მუდმივმოქმედ კომისიებს, რომლებსაც დასამტკიცებლად წარუდგენს მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ამტკიცებს სამეურნეო საქმიანობის მიმართულებებს და ანგარიშებს;

დ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებისათვის თავისი სახელით აკეთებს განცხადებას.

5. ასოციაციის პრეზიდენტი წარმოადგენს ასოციაციას სახელმწიფო ორგანოებში, დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს არჩეული პრეზიდენტად არა უმეტეს ორი ვადისა ზედიზედ, განმეორებით იგი შესაძლებელია იქნეს არჩეული მინიმუმ ერთი საარჩევნო ვადის გამოტოვების შემდეგ. პრეზიდენტი შედის გამგეობაში ერთი ხმის უფლებით.

6. სარევიზიო კომისია:

ა) სარევიზიო კომისია შედგება ხუთი წევრისაგან, თავმჯდომარის ჩათვლით. იგი აირჩევა ფარული კენჭისყრით ყრილობაზე ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით;

ბ) სარევიზიო კომისიის წევრები, თავმჯდომარის ჩათვლით, არ შეიძლება იყვნენ ამავე დროს გამგეობის წევრები;

გ) სარევიზიო კომისიის წევრებს აქვთ უფლება ნებისმიერ დროს გაეცნონ ასოციაციის ნებისმიერ დოკუმენტს;

დ) სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია ასოციაციის ყრილობის წინაშე;

ე) სარევიზიო კომისიას ასოციაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში უფლება აქვს დააყენოს საკითხი ყრილობის წინაშე პრეზიდენტის და გამგეობის გამოწვევის შესახებ.

V. ასოციაციის საკუთრება და სახსრები

1. ასოციაციის სახსრებია გაწევრიანების საფასური, საწევრო გადასახადები, შეწირულობანი და მისი საქმიანობიდან მიღებული სხვა შემოსავალი.

2. გაწევრიანების საფასურს და საწევრო გადასახადის ოდენობას განსაზღვრავს ასოციაციის ყრილობა. შეგროვებული თანხის 50 პროცენტი რჩება პირველად ორგანიზაციაში, 50 პროცენტი გადადის ასოციაციის განკარგულებაში.

პირველადი ორგანიზაცია საკუთარი სახსრებით ანგარიშვალდებულია ასოციაციის გამგეობის წინაშე.

3. ასოციაციის ფულადი სახსრები ჩაირიცხება ბანკში, რომელსაც განაგებს პრეზიდენტი.

4. ასოციაციის მიერ არჩეული პირები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე. მათ საქმიანობასთან დაკავშირებით ფაქტიურ დანახარჯებს ანაზღაურებს ასოციაცია.

VI. ასოციაციის ლიკვიდაცია ხდება მხოლოდ ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

90 ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტისათვის ხალხთა მეგობრობის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის შრომითი კოლექტივის თხოვნა, შეთანხმებული სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროსთან და, დაარსებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით, მიეკუთვნოს მას ხალხთა მეგობრობის სახელი.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გამოუყოს 1990 წელს ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტს 30 მსუბუქი ავტომობილი იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის მისაყიდად, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აღნიშნული ტრესტის მიერ წარმატებების მიღწევაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 4 სექტემბერი, № 455

91 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 20 ივლისის № 574 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე

„საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 20 ივლისის № 574 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 მარტის № 172 დადგენილება „1969 წელს ცეკავშირის მეშვეობით საქონელგაცვლის ოპერაციების წესით საქონლის საექსპორტოდ მიწოდების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 თებერვლის № 83 დადგენილება „1970 წელს ცეკავშირის საქონელბრუნვის ოპერაციების წესით საქონლის საექსპორტოდ მიწოდების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 4 სექტემბერი, № 456

ეროვნული ბიბლიოთეკა

92 ქალაქ რუსთავში წიდაგადასამუშავებელი საწარმოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ქალაქ რუსთავისა და მისი მიმდებარე რაიონების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, აგრეთვე წიდის გადასამუშავებლად სამუშაოთა გააქტიურების მიზნით რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა (ამხ. დალაქიშვილი):

— შექმნას 1989 წლის ბოლომდე აღმასკომის ტერიტორიულ-სამეურნეობათაშორისო გაერთიანების ხელმძღვანელობით მძლავრი წიდაგადასამუშავებელი საწარმო წიდიდან ლითონურ შემადგენელთა ამოსაღებად, აგრეთვე სამშენებლო და საგზაო-სამშენებლო წარმოებაში გამოსაყენებელი წიდის მოსამზადებლად და გადასამუშავებლად;

— უზრუნველყოს დამუშავებული წიდის მიწოდება სახელშეკრულებო საფუძველზე საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსათვის, საქართველოს სსრ სახმშენის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსაშენმასალებისათვის“, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროსა და სხვა რესპუბლიკური მომხმარებლებისათვის;

— წიდასაყრელის ტერიტორიის განთავისუფლების კვალობაზე გაითვალისწინოს მიწის რეკულტივაციის სამუშაოთა განხორციელება და მისი გადაცემა ქალაქ რუსთავში განლაგებულ საწარმოთა დამხმარე მეურნეობებისათვის;

— შეიმუშაოს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან — წიდის მიმწოდებელთან თანამშრომლობის გრძელვადიანი პროგრამა, ამასთან დაუდოს მას ხელშეკრულება ქარხნის მომსახურების სავალუტო ანაზღაურების ურთიერთხელსაყრელი პირობებით.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ამჟამად წიდასაყრელზე მუშაობენ საწარმოო კოოპერატივები „წიდა“ და „ლითონი“.

3. რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-სამეურნეობათაშორისო გაერთიანებამ (ამხ. ტოპრაკაშვილი) და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა სამეურნეო ანგარიშიანმა საგარეო ვაჭრობის გაერთიანებამ (ამხ. ვერულეიშვილი) მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რათა მიიზიდონ უცხოეთის ფირმები ლითონურ შემადგენელთა ამოღების მოწინავე საზღვარგარეთული ტექნოლოგიის ბაზაზე ნაყარი წიდის უფრო მასშტაბური გადამუშავების, წიდაბლოკების საწარმოო მექანიზებული ხაზის შექმნისა და პროდუქციის საექსპორტოდ რეალიზაციის მიზნით.

4. სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ამხ. ელიგულაშვილმა გაუწიოს საჭირო დახმარება რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმასკომის ტერიტორიულ-სამეურნეობათაშორისო გაერთიანებას პროდუქციის ექსპორტის გაფართოებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჟვანია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 4 სექტემბერი, № 457

19886

ეროვნული ბიბლიოთეკა

93 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რესპუბლიკაში ავარიების, კატასტროფებისა და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის მუდმივი საგანგებო კომისიის დასახელების შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეეცვალოს დასახელება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რესპუბლიკაში ავარიების, კატასტროფებისა და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის მუდმივ საგანგებო კომისიას და დაერქვას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგანგებო სიტუაციათა კომისია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 8 სექტემბერი, № 459

ეროვნული ბიბლიოთეკა

94 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ

რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური, ინტელექტუალური და საწარმოო პოტენციალის კომპლექსური და ეფექტიანი გამოყენების, საწარმოებისა და გაერთიანებების დამოუკიდებელი ფუნქციონირების ხელშეწყობისა და ამ ეტაპზე არსებული შესაძლებლობების სრული გამოვლინების მიზნით, მთლიანად რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მუდმივმოქმედი კომისია, დანართის თანახმად.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მუდმივმოქმედი კომისიის თანდართული დებულება, სტრუქტურა და შემადგენლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 14 სექტემბერი, № 465

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 14 სექტემბრის № 465
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მუდმივმოქმედი კომისიის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ამ დებულებით განისაზღვრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მუდმივმოქმედი კომისიის (შემდგომ მუდმივმოქმედი კომისია) ფუნქციები, მიზნები, ამოცანები და მუშაობის წესი.

2. მუდმივმოქმედი კომისია არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო, რომელიც ხელს უწყობს აკადემიური, უმაღლეს სასწავლებელთა და დარგობრივი მეცნიერების განვითარებას, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ და ეფექტიანად დანერგვას, მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის გაფართოებას.

3. მუდმივმოქმედი კომისიის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება რესპუბლიკაში ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის განსახორციელებლად.

4. მუდმივმოქმედი კომისიის ძირითადი ამოცანებია:

— შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აკადემიური, დარგობრივი და უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერების ურთიერთობის გაუმჯობესება, გამოკვლევათა და მეცნიერულ-ტექნიკურ გადაწყვეტილებათა განხორციელების საუწყებათაშორისო კოორდინირება;

— ხელი შეუწყოს რესპუბლიკაში საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მეცნიერული კვლევის წარმატებით განვითარებას, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებასა და მათი გამოყენების გაუმჯობესებას; მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და განვითარებას; მეცნიერთა და სპეციალისტთა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას;

— გამონახოს და პრაქტიკულად გამოიყენოს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ეფექტიანი ფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ რესპუბლიკის მაღალი მეცნიერული პოტენციალის სრულად გამოყენებას.

— ხელი შეუწყოს წარმოებებისა და გაერთიანებების დამოუკიდებელი ფუნქციონირების პირობებში არსებული შესაძლებლობების სრულ გამოვლინებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების თვალსაზრისით;

— ყოველმხრივ განავითაროს სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა, გაერთიანებათა და საწარმოთა შორის სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობა მეცნიერულ-ტექნიკურ ნამუშევართა და მომსახურების სახელშეკრულებო ფასების გამოყენებით, გააძლიეროს მათი ეკონომიკური ურთიერთპასუხისმგებლობა გამოკვლევათა და ნამუშევართა შედეგების მეცნიერულ-ტექნიკური დონის ასამაღლებლად, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დროულად შექმნისა და წარმოებაში დანერგვისათვის;

— მაღალი საბოლოო შედეგების მოპოვების მიზნით ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენების საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მატერიალურ-ტექნიკური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვას;

— ხელი შეუწყოს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციისა და საბაზო ტექნოლოგიის, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს საწარმოთა მშენებლობის, გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის პროექტების ტექნოლოგიური ნაწილის საექსპერტო შეფასებას.

5. ზემოაღნიშნულ ამოცანებს მუდმივმოქმედი კომისია წყვეტს იმის საფუძველზე, რომ სამინისტროთა, უწყებათა და სამეცნიერო ორგანიზაციათა ძირითადი ღონისძიებანი მიმართულ იქნეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის, მათი პარტნიორული ურთიერთობის განვითარების, მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების, რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერების, ტექნიკის მიღწევების წარმოებაში ფართოდ დასანერგავის უზრუნველსაყოფად.

6. მუდმივმოქმედი კომისია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, ამ დებულებით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით.

II. მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა და სტრუქტურა

1. მუდმივმოქმედი კომისია იქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), მისი მოადგილეები, კომისიის წევრები და სამუშაო ჯგუფი.

2. მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელი მუშაკები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მეცნიერები და წამყვან სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციათა და საწარმოთა სპეციალისტები.

3. მუდმივმოქმედი კომისიის პერსონალური შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

4. დასაბუთებულ წინადადებათა და რეკომენდაციათა წარმოდგენის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მუდმივმოქმედ კომისიას შეუძლია შექმნას დროებითი საექსპერტო კომისიები ან სამუშაო ჯგუფები ცალკეულ საკითხთა ოპერატიულად შესასწავლად.

5. მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე განსახილველი მასალების მომზადებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებები და ამ კომისიის დავალებით — სამინისტროები, უწყებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

III. მუდმივმოქმედი კომისიისა და მისი წევრების უფლება-მოვალეობანი

1. მუდმივმოქმედ კომისიას უფლება აქვს:

— მოსთხოვოს და მიიღოს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და სამეცნიერო ორგანიზაციებისაგან საჭირო მასალები, მოხსენებები, დასკვნები და წინადადებანი სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილების პროექტისათვის;

— მოიწვიოს საჭიროების შემთხვევაში კომისიის სხდომებზე რესპუბლიკის დაინტერესებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად;

— მეცნიერების განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს განსახილველად;

— მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება სათანადო ოქმით.

2. მუდმივმოქმედი კომისია მოვალეა:

— გადაწყვიტოს საკითხები მისთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში;

— კონტროლი გაუწიოს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე მიღებულ საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

3. მუდმივმოქმედი კომისიის წევრებს უფლება აქვთ.

— შეიტანონ კომისიის განსახილველად მის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები დადგენილი წესის თანახმად.

4. მუდმივმოქმედი კომისიის წევრები მოვალენი არიან:

— მიიღონ აქტიური მონაწილეობა კომისიის მუშაობაში;

— ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კომისიის როლის ამაღლებასა და მის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებას;

— დროულად შეასრულონ კომისიის დავალებანი და წარადგინონ ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ.

IV. მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის წესი

1. მუდმივმოქმედი კომისია მართავს სხდომებს დამტკიცებული წლიური სამუშაო გეგმის თანახმად.

2. მუდმივმოქმედი კომისიის სამუშაო გეგმის პროექტს ადგენს კომისიის სამუშაო ჯგუფი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებების, აგრეთვე კომისიის ცალკეული წევრების წინადადებათა საფუძველზე.

3. მუდმივმოქმედი კომისიის განსახილველად შესატან საკითხებს, როგორც წესი, წინასწარ განიხილავენ რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები;

მუდმივმოქმედი კომისიის მასალებს, მოხსენებებს, გადაწყვეტილებათა პროექტებს ამზადებს კომისიის სამუშაო ჯგუფი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის ქვედანაყოფებთან ერთად.

4. მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებებს ახორციელებენ ამ გადაწყვეტილებებში აღნიშნული ორგანოები და ორგანიზაციები. კომისიის სხდომებზე განხილულ ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე შეიძლება მომზადდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ან განკარგულებათა პროექტები.

5. მუდმივმოქმედი კომისიის სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს:

— კომისიის წლიური სამუშაო გეგმის პროექტების შემუშავებას;

— კომისიის სხდომებზე განსახილველ საკითხთა მომზადების ორგანიზაციას, მათ შორის კომისიის წევრთათვის დროულად შეტყობინებასა და მათთვის სხდომის მასალების დაგზავნას;

— კომისიის საქმის წარმოებასა და მისი საქმიანობის ამსახველი ანგარიშების შედგენას;

— კომისიის გადაწყვეტილებათა დაგზავნას შემსრულებელთათვის და მათი შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლის ორგანიზაციას;

კომისიის სამუშაო გეგმებს ამტკიცებს კომისიის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა

ნ. ა. ჭითანავა	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)
ო. ვ. ქვილითაია	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
ი. ს. ჟორდანია	— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
გ. დ. მგელაძე	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე
ო. გ. ვარძელაშვილი	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე
ვ. ი. ვადაჭკორია	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ზ. ა. ლაბახუა	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ო. ვ. მელქაძე	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გ. ნ. ენუქიძე	— საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი
დ. ნ. დვალიშვილი	— საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.
ზ. პ. მახარაძე	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი
ა. ნ. თავხელიძე	— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
მ. ა. კლიმიაშვილი	— საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე
ნ. ს. ამაღლობელი	— თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.
ი. ო. ანდრიაძე	— თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. დ. ახვლედიანი	— საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე
გ. ვ. მაქაცარია	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კულტურისა და განათლების განყოფილების გამგე
ვ. ი. მეტრეველი	— ლენინის სახელობის საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის რეგიონალური განყოფილების თავმჯდომარე
გ. ვ. მინდელი	— საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური რესპუბლიკური საზოგადოების თავმჯრომარე.
გ. ზ. მირიანაშვილი	— საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე
დ. ვ. როგავა	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ახალი ტექნიკის განყოფილების გამგე.
ლ. ს. ხარბედია	— საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი.
გ. ა. სანაძე	— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
ო. კ. ხოფერია	— სსრ კავშირის პროდუქციის ხარისხისა და სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი
ი. ვ. ფრანგიშვილი	— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
გ. გ. ჩოგოვაძე	— საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი
გ. გ. ნაკაიძე	— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ი. მ. მენალარიშვილი	— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი
პ. შ. თორდია	— თბილისის დიმიტროვის სახელობის საწარმოო საავიაციო გაერთიანების დირექტორი
გ. ბ. ქაშაკაშვილი	— რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი
ლ. ს. თოფურია	— საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ეროვნული № 5
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 14 სექტემბრის № 465
დადგენილებით

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მუდმივმოქმედი კომისიისა

კომისიის სამუშაო ჯგუფი
კომისიის კონსულტანტი
კომისიის პასუხისმგებელი მდივანი
კომისიის ტექნიკური მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

95 საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების თანდართული წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 18 სექტემბერი, № 467

ეროვნული
ბიბლიოთეკა
რეგისტრირებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 18
აგვისტოს № 467 დადგენილებით

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წესდება

I. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება არის თვითდაფინანსებასა და თვითმმართველობაზე დაფუძნებული მასობრივი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს დემოგრაფიული პრობლემების დაძლევას. უწინარეს ყოვლისა და ძირითადად, იმ რეგიონებში, სადაც ამ მხრივ მწვავე ვითარებაა, იზრუნოს განახლებული და აღდგენილი სოფლების სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისა და განვითარებისათვის.

საზოგადოება თავის საქმიანობას წარმართავს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის საფუძველზე სახელმწიფო ორგანოებთან, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში, ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესდების მოთხოვნებით.

2. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ძირითადი მიზნებია:

ა) ხელი შეუწყოს მოსახლეობის ფართო აღწარმოებას, განსაკუთრებით იმ რაიონებსა და რეგიონებში, რომლებსაც ახასიათებს დაბალი ბუნებრივი მატება და ინტენსიური მიგრაციული პროცესები;

ბ) პროპაგანდა გაუწიოს ამ მიმართულებით საზოგადოების წევრებსა და მოსახლეობას, შეისწავლოს სასურველი რაოდენობის ბავშვების ყოლის ხელისშემშლელი კონკრეტული მიზეზები ცალკეული რაიონებისა და რეგიონების მიხედვით და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;

გ) გამონახოს პროპაგანდის ფორმები და მეთოდები მოსახლეობაში მესამე და მომდევნო ბავშვის ყოლის მოთხოვნილების ჩამოსაყალიბებლად, იზრუნოს ამ მოთხოვნილების რეალიზაციისათვის;

დ) ხელი შეუწყოს მოსახლეობის დამკვიდრებას განახლებულ და აღდგენილ სოფლებში;

ე) შეისწავლოს მიგრაციის გამომწვევი მიზეზები ცალკეული რაიონებისა და რეგიონების მიხედვით და განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებანი ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად.

3. მიზნების მისაღწევად საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება:

ა) თავის საქმიანობაში აქტიურად აბამს მოსახლეობის ფართო ფენებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საწარმოებს, შემოქმედებით კავშირებს და სხვა ორგანიზაციებს;

ბ) საზოგადოებრივ საწყისებზე ქმნის დემოგრაფიული საზოგადოების ადგილობრივ საბჭოებს საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელი ადგილების მიხედვით და აქტიურ მონაწილეობას იღებს მათს საქმიანობაში;

გ) დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ეწევა სისტემატურ გეგმაზომიერ პროპაგანდას სამ და მეტშვილიანი ოჯახების გასამრავლებლად;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ეწევა საგამომცემლო საქმიანობას დადგენილი წესის შესაბამისად, გამოსცემს სარეკლამო მასალებს, ლიტერატურას, ყოველკვირეულ გაზეთს და სხვ;

ე) დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, აწყობს დემოგრაფიული პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციებს, საღამოებს, შეხვედრებს, საუბრებს, ლექციებსა და სხვა ღონისძიებებს;

ვ) საზოგადოების საქმიანობის გასაშლელად სახსრების გამოძებნის მიზნით უფლება აქვს:

— შექმნას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დამხმარე მეურნეობები, საწარმოები, კოოპერატივები და რეალიზაცია უყოს წარმოებულ პროდუქციას;

— მოაწყოს საქველმოქმედო ღონისძიებანი.

ზ) ამყარებს მჭიდრო კონტაქტებს მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

4. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება, მისი რეგიონალური, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, აქვთ თავიანთი კუთხოვანი შტამპი და მრგვალი ბეჭედი.

5. დემოგრაფიულ საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ანგარიში.

6. საზოგადოებას აქვს ალამი, ემბლემა, ვიმპელი, საზოგადოების წევრობის სამკერდე ნიშანი.

7. დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობას უფლება აქვს შეიმუშაოს და დაამტკიცოს საწევრო წიგნაკის ნიმუში, აგრეთვე შეუკვეთოს საწევრო მარკები და მოამარაგოს წიგნაკებითა და მარკვებით პირველადი ორგანიზაციები.

II. საზოგადოების წევრები, მათი უფლებები და მოვალეობანი

8. საზოგადოების წევრები შეიძლება იყვნენ სსრ კავშირის მოქალაქენი — მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურენი, ინჟინერ-ტექნიკური, მეცნიერი და შემოქმედებითი მუშაკები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები და სტუდენტები, პენსიონერები, აგრეთვე საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, შემოქმედებითი კავშირები (კოლექტიური წევრები), რომლებიც აღიარებენ საზოგადოების წესდებას და აქტიურად მონაწილეობენ მისი ერთ-ერთი პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წევრები შეიძლება იყვნენ უცხოელი მოქალაქენი.

შენიშვნა: საზოგადოების წევრებად მიიღებიან 16 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. მოქალაქეებს საზოგადოების წევრებად ინდივიდუალური წესით იღებენ პირველადი ორგანიზაციები. პირველადი ორგანიზაცია იქმნება, თუ ჰყავს საზოგადოების სულ ცოტა 5 წევრი.

10. საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების კონფერენციებსა და ყრილობებზე, აგრეთვე საზოგადოების ხელმძღვანელ და სარევიზიო ორგანოებში, მონაწილეობა მიიღოს გადამწყვეტი ხმის უფლებით საზოგადოების წევრთა საერთო კრებებზე გამოტანილი საკითხების განხილვაში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მიერ მოწყობილ ღონისძიებებში, საღამოებში, გამოფენებში, კონკურსებში და სხვ.;

გ) შეიტანოს წინადადებები საზოგადოების ყველა ორგანოში საზოგადოების მუშაობის ყველა საკითხის გამო.

11. საზოგადოების წევრი მოვალეა:

ა) შეასრულოს ამ წესდების მოთხოვნები, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ერთ-ერთი პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში, დროულად გადაიხადოს საწევრო შესატანები;

ბ) გასწიოს მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა საზოგადოების როლის, მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ და ხელი შეუწყოს საზოგადოების რიგებში ახალი წევრების მიღებას;

გ) პირადი წვლილი შეიტანოს საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში.

12. საზოგადოების წევრად მიღებულ მოქალაქეებს ეძლევათ ერთიანი ნიმუშის საწევრო ბილეთები.

13. საზოგადოების აქტიური წევრები შეიძლება წარდგენილ იქნენ მთავრობის ჯილდოზე.

14. საზოგადოების წესდების მოთხოვნათა დარღვევისათვის საზოგადოების წევრთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ფორმები, მათ შორის საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან გარიცხვა.

საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან პიროვნების გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საერთო კრება ხმის უბრალო უმრავლესობით (კრებას უნდა ესწრებოდეს წევრების არანაკლებ ორი მესამედისა). ზემოქმედების მიზნით მიღებული ზომები და საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან პიროვნების გარიცხვა, თუ კი მიჩნეულიც იქნება უსაფუძვლოდ, შეიძლება გასაჩივრდეს საზოგადოების ზემდგომ ორგანოებში, მათ შორის საზოგადოების ყრილობაზე.

III. საზოგადოების სტრუქტურა და მისი ხელმძღვანელი ორგანოები

15. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ორგანიზაციები იქმნება რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონებში, დაბებში, სოფლებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და მოქმედებენ ამ წესდების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების რეგიონალური კომიტეტები იქმნება რაიონული და პირველადი ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციისათვის.

16. საზოგადოების მიზნობრივი კომიტეტები ეხმარებიან და აკონტროლებენ რეგიონალურ კომიტეტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

17. დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობის, ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის, რეგიონალური და მიზნობრივი კომიტეტების საზოგადოების რაიონული, საქალაქო, სადაბო და პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოებისა და სარევიზიო კომისიების არჩევნები ეწყობა ღია კენჭისყრით.

საზოგადოების ყრილობები, კონფერენციები და კრებები გადაწყვეტილებებს იღებენ ხმის უბრალო უმრავლესობით.

IV. საზოგადოების ყრილობა

18. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელსაც ცენტრალური საბჭო იწვევს, როგორც წესი, 5 წელიწადში ერთხელ.

რიგგარეშე ყრილობა შეიძლება მოწვეულ იქნეს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებით ან საზოგადოების წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

ყრილობის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ განცხადება ქვეყნდება არა უგვიანეს ერთი თვისა ყრილობის გახსნამდე.

ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმასა და დელეგატთა არჩევის წესს განსაზღვრავს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობა.

საზოგადოების ყრილობა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედისა.

19. საზოგადოების ყრილობა:

ა) ისმენს და ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენებებსა და ანგარიშგებებს და განსაზღვრავს მათ მორიგ ამოცანებს;

ბ) ცვლის და ასწორებს საზოგადოების წესდებას;

გ) ირჩევს ცენტრალურ საბჭოსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას. განსაზღვრავს საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას;

დ) იხილავს და წყვეტს საზოგადოების საქმიანობის სხვა საკითხებს;

ე) საზოგადოების ყრილობებს შორის პერიოდში მის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს დემოგრაფიული საზოგადოების ცენტრალური საბჭო, რომელსაც ირჩევენ 5 წლის ვადით.

საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმებს იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობა წელიწადში ორჯერ მაინც.

საზოგადოების ცენტრალური საბჭოს რიგგარეშე პლენუმები მოიწვევა ცენტრალური საბჭოს გამგეობის გადაწყვეტილებით ან ცენტრალური საბჭოს წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

20. დემოგრაფიული საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის პლენუმებს შორის პერიოდში ცენტრალური საბჭო ირჩევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობას, რომლის შემადგენლობაში შედიან გამგეობის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პასუხისმგებელი მდივანი, რეგიონალური და მიზნობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები და გამგეობის წევრები ცენტრალური საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

ცენტრალური საბჭო იხილავს და ამტკიცებს ცენტრალური საბჭოს გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშგებებსა და გეგმებს და წყვეტს საზოგადოების სხვა საკითხებს.

21. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობა:

ა) ხელმძღვანელობს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს საქმიანობას პლენუმებს შორის პერიოდში;

ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სამუშაო გეგმებს, საზოგადოების ცენტრალური აპარატისა და ცენტრალური საბჭოსადმი დაქვემდებარებული საბჭოების სტრუქტურასა და მუშაკთა რაოდენობას. განსაზღვრავს საზოგადოების ბიუჯეტსა და სხვა ხარჯთაღრიცხვებს და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას;

გ) იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმებს, ამზადებს მოხსენებებს, ანგარიშგებებს და სხვა მასალებს საზოგადოების ყრილობებისათვის;

დ) იხილავს და ამტკიცებს საზოგადოების საქალაქო და რაიონული საბჭოების, აგრეთვე სამეურნეოანგარიშიანი საწარმოებისა და დამხმარე მეურნეობების ანგარიშგებებს და ხარჯთაღრიცხვებს;

ე) ქმნის ფულად ფონდს და განსაზღვრავს მისი გამოყენების წესს;

ვ) ქმნის პრემირების ფონდს საზოგადოების შტატიანი მუშაკებისა და აქტივისტების დასაჯილდოებლად, აგრეთვე მატერიალური დახმარების ფონდს საზოგადოების მუშაკებისათვის;

აღნიშნული ფონდების ხარჯვისა და შექმნის წესს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგენს ცენტრალური საბჭო;

ზ) ამტკიცებს საზოგადოების კრებსით ბიუჯეტს, საბუღალტრო ანგარიშგებებს, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბალანსს, საზოგადოების საბჭოების ანგარიშგებებს, კონტროლს უწევს დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულებას, განსაზღვრავს ფულადი შემოსავლის გამოყენების წესს;

თ) განაგებს საზოგადოების საქმეებს, ქონებასა და სახსრებს და ახორციელებს საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის უფლებებს, გამოსცემს დადგენილი წესით სააგიტაციო თვალსაჩინოებებს;

ი) ამტკიცებს საზოგადოების სტრუქტურას, საშტატო განრიგებს მის საქვეუწყებო დაწესებულებებში, საქალაქო და რაიონულ საბჭოებში თანამდებობრივი ხარჯების ფონდების ფარგლებში;

კ) ამტკიცებს დადგენილი წესით საზოგადოების ბეჭდების, შტამპების, საწევრო ბილეთების, ემბლემის, საწევრო მარკებისა და სხვა ნიმუშებს.

22. დემოგრაფიული საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობის სხდომებს შორის პერიოდში საზოგადოების საქმიანობას ხელმძღვანელობს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე.

23. დემოგრაფიული საზოგადოების სახელით ყველა მითითებას, ხელშეკრულებას, ვალდებულებას და დავალებას ხელს აწერენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე (ან მოადგილე) და პასუხისმგებელი მდივანი.

თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს უფლება აქვთ გამოვიდნენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და გამგეობის სახელით სახელმწიფო ორგანოებში, დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

V. საზოგადოების სარევიზიო კომისიები

24. სარევიზიო კომისიებს ირჩევენ დემოგრაფიული საზოგადოების ყრილობა, საზოგადოების საქალაქო და რაიონული კონფერენციები და პირველადი ორგანიზაციები ღია კენჭისყრით იმ პირთაგან, რომლებიც არ შედიან საზოგადოების საბჭოს შემადგენლობაში და არ მუშაობენ შესაბამისი საბჭოს აპარატში.

სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს ყრილობა, კონფერენცია, პირველადი ორგანიზაციის საერთო კრება.

შენიშვნა: პირველად ორგანიზაციებში, სადაც საზოგადოების 50-ზე ნაკლები წევრია, ირჩევენ რევიზორს.

25. სარევიზიო კომისია ღია კენჭისყრით ირჩევს თავის შემადგენლობიდან თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს.

26. სარევიზიო კომისია და რევიზორი ანგარიშს აბარებენ საზოგადოების ყრილობას, კონფერენციას, პირველადი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებას კუთვნილებისამებრ და საზოგადოების ზემდგომ ორგანოებს.

27. სარევიზიო კომისიის წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საათბირო ხმის უფლებით შესაბამისი საბჭოს თათბირებში, პლენუმებში, გამგეობის სხდომებში.

28. სარევიზიო კომისიის სხდომები მოიწვევა საჭიროების კვალობაზე.

VI. საზოგადოების დამხმარე მეურნეობები და საწარმოები

29. დემოგრაფიულ საზოგადოებას თავისი საქმიანობისათვის სახსრების გამოსაძებნად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აქვს დამხმარე მეურნეობის, საწარმოების და კოოპერატივების შექმნის უფლება.

30. დამხმარე მეურნეობებიდან და საწარმოებიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად გამოიყენება საზოგადოების მიზნებისათვის.

31. საზოგადოების დამხმარე მეურნეობებისა და საწარმოების შენობები, ნაკვეთები, მატერიალური ფასეულობა წარმოადგენს საზოგადოების საკუთრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII. საზოგადოების ფულადი სახსრები

32. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ფულადი სახსრებია:

ა) საზოგადოების წევრთა შემოსასვლელი და ყოველთვიური საწევრო შენატანები;

ბ) შემოსავალი დამხმარე მეურნეობებიდან და საწარმოებიდან;

გ) შემოსავალი სარეკლამო და საგამომცემლო საქმიანობიდან;

დ) შემოსავალი საქველმოქმედო ღონისძიებებიდან;

ე) ნებაყოფლობითი და სხვა შემოსავლები.

33. მთელი შემოსასვლელი და საწევრო შენატანები ჩაირიცხება შესაბამისი საბჭოების მიმდინარე ანგარიშებში.

34. საზოგადოების ყველა სხვა შემოსავალი ჩაირიცხება ცენტრალური საბჭოს ანგარიშსწორების ანგარიშზე.

35. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების საზოგადოების საბჭოები მათ ანგარიშზე შემოსული სახსრების ნაწილს გადაურიცხავენ საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს იმ ოდენობით და იმ ვადაში, რაც დაწესებულია საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობის მიერ.

36. საზოგადოების ადგილობრივი საბჭოები მთელ ხარჯებს ეწევიან საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვის ზუსტი შესაბამისობით, მათ მიერ შემოსავლის სახით მიღებული სახსრებიდან.

37. ჭარბი შემოსავლის შედეგად მიღებული სახსრები საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობის გადაწყვეტილებით გამოიყენება:

ა) მრავალშვილიანობის წასახალისებლად მძიმე დემოგრაფიული ვითარებისა და ინტენსიური მიგრაციული პროცესების მქონე რაიონებსა და რეგიონებში;

ბ) ახალგაზრდა ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად, ბინების შესასყიდად და ასაშენებლად, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე;

გ) განახლებული და აღდგენილი სოფლების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) კაპიტალური დაბანდებისათვის და საჭირო ქონების შესაძენად;

ე) კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საორგანიზაციო-მასობრივი და სხვა ღონისძიებებისათვის;

ვ) საზოგადოების მუშაკთა და ცალკეულ პირთა პრემირებისათვის;

ზ) შტატიანი მუშაკებისა და აქტივისტებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად.

38. პრემიისა და მატერიალური დახმარების ფონდების შექმნისა და გამოყენების წესის დებულებას იხილავს და ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობა.

39. დემოგრაფიული საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობას უფლება აქვს წლიური ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის შეხედულებისამებრ გადაანაწილოს ფულადი სახსრების ნაშთები წლის დამლევისათვის.

40. დემოგრაფიული საზოგადოების ფულადი სახსრები ინახება მიმდინარე ანგარიშებზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, სსრ კავშირის მშენ-ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკების ადგილობრივ განყოფილებებში ან შემნახველ სალაროებში.

VIII. საზოგადოების ლიკვიდაციის წესი

41. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება წყვეტს თავის საქმიანობას:

ა) საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

96 საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ინფორმატიკის“ შექმნის შესახებ

ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სფეროში მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის მეთოდებისა და საშუალებების ათვისების კომპიუტერიზაციის საქმეში დაგროვილი გამოცდილების სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდის ერთობლივი წინადადება, შეთანხმებული საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრის ბაზაზე 1990 წლის 1 იანვრიდან შეიქმნას სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ინფორმატიკა“ (გაერთიანება „ინფორმატიკა“), რომლის შემადგენლობაში შევიდეს: ინფორმატიკის მთავარი ცენტრი (მთავარი გამოთვლითი ცენტრის უფლებებით) და საერთაშორისო ბავშვთა კომპიუტერული ცენტრი (სკოლა-ბანაკი, სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური კომპლექსი გამოთვლითი ცენტრით).

2. დადგინდეს, რომ:

— სასწავლო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ინფორმატიკა“ არის იურიდიული პირი;

— გაერთიანება დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე (ინფორმატიკის მთავარი ცენტრი) და საკუთარი სახსრებით, რომელიც იქმნება საერთაშორისო ბავშვთა კომპიუტერული ცენტრის მიერ შესრულებული სამუშაოების, სახალხო განათლების ორგანოებიდან შემოსული სახსრების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნებაყოფლობითი შენატანების საფუძველზე;

— გაერთიანების დებულებას, არსებული სტრუქტურული შემადგენლობის შესაძლებელ ცვლილებებს გაერთიანების გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო;

— გაერთიანებას აქვს სავალუტო ფონდი, რომელიც იქმნება საერთაშორისო ბავშვთა კომპიუტერული ცენტრის მიერ სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის რეალიზაციის, აღნიშნულ ცენტრში უცხოელ მოქალაქეთა სწავლების გადასახადების, მათი სპეციფიკური საერთაშორისო გამოფენებისა და კონსულტაციების ხარჯზე და გამოიყენება ამ ცენტრის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის;

— გაერთიანება დადგენილი წესით საზღვარგარეთ მივლინებაში აგზავნის ცენტრის თანამშრომლებს, ახორციელებს სპეციალისტებისა და მოსწავლეების ორმხრივ გაცვლას უვალუტო საფუძველზე.

3. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ:

— საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად — რუნველყოს უცხოეთის ორგანიზაციებთან, ფირმებთან და კერძო პირებთან საერთაშორისო ბავშვთა კომპიუტერული ცენტრის ურთიერთობა;

— ჩამოაყალიბოს საერთაშორისო ბავშვთა კომპიუტერული ცენტრის სამეცნიერო-პედაგოგიური კოლექტივი, განსაზღვროს სკოლა-ბანაკის მონაწილე საბჭოთა და უცხოელი მოსწავლეების შერჩევის პირობები;

— ერთი თვის ვადაში წარუდგინოს ინსტიტუტს „საქქალაქმშენსახპროექტს“ საერთაშორისო ბავშვთა კომპიუტერული ცენტრის შემადგენლობაში შემავალი 110-ადგილიანი საცხოვრებელი, სასწავლო, სასპორტო, სამეცნიერო-მეთოდური, გამოთვლითი ტექნიკის კომპლექსებისა და დამხმარე შენობების საპროექტო დავალება;

— წარუდგინოს წინადადება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს საერთაშორისო ბავშვთა კომპიუტერული ცენტრისათვის კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გამოსაყოფად მიზნობრივი დანიშნულებით — პროექტის შედგენისა და მშენებლობის სამუშაოთა ღირებულების ასანაზღაურებლად, აგრეთვე მოწყობილობის, ტრანსპორტისა და ტექნიკურ საშუალებათა შესაძენად.

— მოამზადოს საკითხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წარსადგენად, რათა სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ინფორმატიკას“ ნება დაერთოს:

უბაჟოდ შემოიტანოს საბჭოთა კავშირში საერთაშორისო ბავშვთა კომპიუტერული ცენტრისათვის საჭირო მოწყობილობა და საქონელი.

ჰქონდეს საერთაშორისო ბავშვთა კომპიუტერული ცენტრის სავალუტო ფონდში ანარიცხების ნორმატივი 95 პროცენტის ოდენობით ყველა სახის სავალუტო შემოსავლიდან.

4. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განათავსოს საერთაშორისო ბავშვთა კომპიუტერული ცენტრი ბავშვთა გამაჯანსაღებელი კომპლექსის „მზიურის“ ტერიტორიაზე, აგარაკ წყნეთის მიმდებარე ფერდობზე მდინარე ვერეს მხარეს, წინასწარ განსაზღვრული სქემის მიხედვით.

5. ინსტიტუტმა „საქქალაქმშენსახპროექტმა“:

— დაამუშაოს „პროექტის“ სტადიამდე საერთაშორისო ბავშვთა კომპიუტერული ცენტრის ინდივიდუალური პროექტი 1990 წლის 1 ივლისამდე; ობიექტის სამუშაო დოკუმენტაციის დამუშავება დაამთავროს 1991 წლის 1 ივლისამდე, ამასთან 1990 წლის დამლევამდე გასცეს 1991 წლის სამუშაოთა მოცულობის შესაბამისი შუალედური სამუშაო დოკუმენტაცია.

6. დაევალოს გაერთიანება „საქსამოქმრეწვმშენს“ განახორციელოს საერთაშორისო ბავშვთა კომპიუტერული ცენტრის მშენებლობა 1991 წლის იანვრიდან.

7. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს, გაერთიანება „საქსამოქმრეწვმშენს“ განახორციელონ საერთაშორისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა კომპიუტერული ცენტრის ობიექტების მშენებლობა ცალკეული ობიექტებისა და სამუშაოთა სახეების სამუშაო ნახაზების საფუძველზე მიღებული ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, ხოლო საქმრეწვმშენბანკმა 1990 წლიდან მოყოლებული დააფინანსოს აღნიშნული სამუშაოები პროექტების დამტკიცებამდე.

8. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახმშენმა და „საქიმპექსმა" საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით გამონახონ სამშენებლო სამუშაოებში კოოპერაციულ საწყისებზე უცხოური ფირმების მონაწილეობის საშუალება და 1990 წლის დამლევამდე წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1990 წელს განიხილოს საკითხი ბავშვთა საერთაშორისო კომპიუტერული ცენტრისათვის „უაზ-469" მარკის გამოთავისუფლებული ავტომობილის გამოსაყოფად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 21 სექტემბერი, № 483

ეროვნული ბიბლიოთეკა

97 საქართველოს სსრ მეტალურგთა კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს მეტალურგთა კავშირის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 9 ოქტომბერი, № 496

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 9 ოქტომბრის № 496
დადგენილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეტალურგთა კავშირის წესდება

I. ზოგადი დებულება

1. საქართველოს მეტალურგთა კავშირი (შემდგომ კავშირი) არის პროფესიული დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანია საქართველოსა და ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე დაიცვას მშრომელთა პროფესიული ინტერესები და უფლებები.

II. კავშირის ამოცანები

1. დაიცვას შრომის პირობები.
2. გააუმჯობესოს რესპუბლიკის ეკოლოგიური მდგომარეობა.
3. დაიცვას და აღადგინოს სოციალური სამართლიანობა.
4. დაიცვას მშრომელთა ინტერესები და უფლებები.
5. გააუმჯობესოს ქალთა შრომის პირობები.
6. იზრუნოს შრომის ანაზღაურების გაზრდისათვის.
7. დაუდოს ხელშეკრულება წარმოება-დაწესებულებებს მშრომელთა ინტერესების გათვალისწინებით.
8. მატერიალური დახმარება გაუწიოს მრავალშვილიან და ახალგაზრდა ოჯახებს.
9. ხელი შეუწყოს მეტალურგთა პროფესიული მომზადების დონის ამაღლებას და მატერიალურ უზრუნველყოფას.
10. ხელი შეუწყოს სასწავლო სამეცნიერო-პოპულარული და ტექნიკური ლიტერატურის ქართულ ენაზე გამოცემას.
11. იზრუნოს ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის დაცვისათვის წარმოება-დაწესებულებებში.
12. იზრუნოს მეტალურგიული წარმოების სისტემატური ინვენტარიზაციის, შესწავლისა და გამოყენებისათვის საქართველოსათვის მისაღებ პირობებში.
13. დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა საქართველოში არსებულ დამოუკიდებელ პროფესიულ კავშირებთან.
14. გააფართოოს კონტაქტები საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების დამოუკიდებელ პროფესიულ კავშირებთან.

III. კავშირის სამუშაო ჯგუფები

1. მშრომელთა ინტერესების და უფლებების დაცვის.
2. ქალთა შრომის დაცვის.
3. ეკოლოგიური საკითხებისა და ჯანმრთელობის დაცვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მეცნიერული პროგრესის დანერგვის.
5. სამართლებრივ-ეკონომიკური.
6. საერთაშორისო ურთიერთობის საკითხთა.
7. აგიტაცია-პროპაგანდისა და საგამომცემლო.

IV. კავშირის წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

1. კავშირის წევრობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, რელიგიური მრწამსისა და პარტიულობისა, თუ იგი სწავლობს მეტალურგიული პროფილის ფაკულტეტზე, მუშაობს მეტალურგიულ წარმოება-დაწესებულებებში, ან არის მასთან საქმიან კავშირში.

2. კავშირის წევრად მიღება ხდება წარმოება-დაწესებულებათა ადგილობრივი გამგეობის მიერ. კავშირის წევრი სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3. კავშირის წევრს უფლება აქვს:

— აირჩიოს და არჩეულ იქნეს ყველა არჩევით ორგანოში;

— კავშირის წინაშე დააყენოს საკითხი სხვადასხვა ღონისძიებათა ჩატარების მიზანშეწონილობის თაობაზე;

— სურვილისამებრ გავიდეს კავშირიდან.

4. კავშირის წევრი მოვალეა: დროულად გადაიხადოს საწევრო შესატანი, დაიცვას წესდება და შეასრულოს ყრილობის, დარბაზის, გამგეობის გადაწყვეტილებები კავშირში გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისად.

5. კავშირის წევრი გაირიცხება უღირსი საქციელისათვის და წესდების დარღვევისათვის.

6. კავშირის საპატიო წევრად შეიძლება არჩეულ იქნენ გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები განურჩევლად მოქალაქეობისა.

7. კავშირის საპატიო წევრი სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

8. საპატიო წევრს ირჩევს კავშირის ყრილობა.

V. კავშირის მართვის სტრუქტურა

1. კავშირის მმართველი ორგანოებია: ყრილობა, დარბაზი, გამგეობა.

2. კავშირის უმაღლესი მმართველი ორგანოა ყრილობა. ყრილობას იწვევენ ორ წელიწადში ერთხელ, იგი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა არანაკლებ ორი მესამედისა.

3. ყრილობა განსაზღვრავს კავშირის საქმიანობის საერთო მიმართულებას, იღებს ძირითად დოკუმენტებს, ამტკიცებს წესდებას, პროგრამას და მათში შესატან ცვლილებებს, ესმენს და ამტკიცებს ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშს.

4. ყრილობებს შორის მმართველი ორგანოა დარბაზი, რომლის შემადგენლობას ირჩევს ყრილობა.

5. დარბაზის წევრს ირჩევენ ორი წლის ვადით. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც მიიღო კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დარბაზი ადგენს ყრილობის დელეგატთა არჩევის წესსა და ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებს.

7. დარბაზი მოიწვევა წელიწადში არანაკლებ ორჯერ.

8. დარბაზი კავშირის საქმიანობის წარმართვისათვის ირჩევს გამგეობას შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და გამგეობის წევრები.

9. დარბაზი ქმნის ჯგუფებს და ირჩევს ჯგუფების თავმჯდომარეებს.

10. გამგეობა ანგარიშვალდებულია დარბაზის წინაშე.

11. დარბაზი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დარბაზის წევრთა ორი მესამედი.

12. დარბაზის გადაწყვეტილებები მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

13. დარბაზი ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.

14. დარბაზი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა.

15. კავშირის საფუძველს წარმოადგენენ პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ სრული ავტონომიის უფლებით.

16. პირველადი ორგანიზაციები იქმნება წარმოება-დაწესებულებებში, მშრომელთა მსხვილ კოლექტივებს შეუძლიათ შექმნან პირველადი ორგანიზაციები საამქროების (ფაკულტეტების, განყოფილებების) მიხედვით, ან მხოლოდ თანამოაზრეობისა და ერთად მუშაობის სურვილის მიხედვით.

17. პირველად ორგანიზაციაში გაერთიანებული უნდა იყოს არა ნაკლებ სამი წევრისა.

VI. კავშირის საკონტროლო ჯგუფი

1. საკონტროლო ჯგუფის შემადგენლობას ირჩევს და ამტკიცებს ყრილობა.

2. საკონტროლო ჯგუფის წევრად არ შეიძლება იყოს არჩეული გამგეობის წევრი.

3. საკონტროლო ჯგუფი უფლებამოსილია:

— ნებისმიერ დროს გაეცნოს გამგეობასა და პირველადი ორგანიზაციების საქმიანობას და დოკუმენტაციას;

— შეამოწმოს მათი ფინანსური საქმიანობა;

— დააყენოს საკითხები დარბაზის წინაშე.

4. საკონტროლო ჯგუფი ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.

VII. კავშირის იურიდიული საფუძვლები

1. კავშირს ენიჭება იურიდიული პირის უფლება და გახსნილი აქვს ანგარიში ბანკში.

2. კავშირს აქვს მრგვალი ბეჭედი წარწერით: „საქართველოს მეტალურგთა კავშირი“ და საგამომცემლო ორგანო.

3. კავშირის ფინანსურ სახსრებს შეადგენს: წევრთა ყოველთვიური გადასახადი, საწარმო-დაწესებულებათა ანარიცხები სამეურნეო საქმიანობისაგან და ჩატარებული ღონისძიებებისაგან მიღებული შემოსავალი, საგამომცემლო საქმიანობიდან შემოსული თანხა და შემოწირულებანი.

4 .ყოველთვიური საწევრო გადასახადია სამი მანეთი.

5. კავშირის სახსრებს განაგებს გამგეობა, რომელიც გამოიყენება კავშირის ამოცანების განსახორციელებლად.

VIII. კავშირის ლიკვიდაციის წესი

1. კავშირის ლიკვიდაცია ხდება კავშირის ყრილობის გადაწყვეტილებით.

2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი სახსრები და ქონება გამოიყენება საქველმოქმედო მიზნებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

98 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 27 ივლისის № 360 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეიცვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 27 ივლისის № 360 დადგენილება და იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რესპუბლიკაში ავარიების, კატასტროფებისა და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის მუდმივ საგანგებო კომისიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 8 სექტემბრის № 459 დადგენილების თანახმად ეწოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგანგებო სიტუაციათა კომისია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის აპარატში შექმნილ რესპუბლიკაში ავარიების, კატასტროფებისა და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის განყოფილებას შესაბამისად ეწოდოს საგანგებო სიტუაციების განყოფილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჭვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 9 ოქტომბერი, № 498

ეროვნული ბიბლიოთეკა

99 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 17 აგვისტოს № 657 დადგენილების შესახებ

„სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 31 ივლისის № 872 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 17 აგვისტოს № 657 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 17 აგვისტოს № 657 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 ივნისის № 364 დადგენილებით დაგზავნილი „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატულ დაწესებულებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილების მე-3 პუნქტი ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ორგანიზაციისათვის საჭირო ბავშვთა რაოდენობის ნორმატივის ნაწილში, მე-5 პუნქტის მესამე აბზაცი, მე-9 პუნქტის მეორე აბზაცი, მე-12 პუნქტი, მე-19 პუნქტის პირველი აბზაცი და ამავე პუნქტის მესამე აბზაცი საბავშვო სახლების იმ აღზრდილთა მიმართ მისი მოქმედების შენარჩუნებით, რომლებიც არ არიან ობლები, სასწავლებლებში მათი გაგზავნისას, 22-ე პუნქტი, 24-ე პუნქტის მეორე და მეხუთე აბზაცები, 26-ე პუნქტი და 29-ე პუნქტის მეოთხე აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 9 ოქტომბერი, № 499

100 საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის ლიტერატურული ურთიერთობების სახლთან ქართული პუშკინიანის ცენტრის შექმნის შესახებ

საზღვარგარეთის ქვეყნებსა და მოძმე რესპუბლიკებთან საქართველოს სს რესპუბლიკის ლიტერატურულ-შემოქმედებითი ურთიერთკავშირის გასაღრმავებლად და გასაფართოებლად, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის საქმიანობის გასაუმჯობესებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ქართულ-რუსული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების კერას, ა. ს. პუშკინის მეგობრის ა. ო. სმირნოვა-როსეტის შვილთაშვილის მ. გ. სმირნოვის მიერ საქართველოსათვის გადმოცემული სახლის, აგრეთვე პუშკინისდროინდელი, პეტერბურგის სმირნოვა-როსეტისეული ლიტერატურული სალონის უნიკალური მემორიალური ნივთებისა და რელიქვიების ბაზაზე შექმნილ მთავარი სარედაქციო კოლეგიის ლიტერატურული ურთიერთობების სახლს მიენიჭოს დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის სახელი.

2. მთავარი სარედაქციო კოლეგიის ა. ს. პუშკინის სახელობის ლიტერატურული ურთიერთობების სახლთან (პუშკინის მემორიალი) შეიქმნას მთარგმნელობითი, კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ქართული პუშკინიანის ცენტრი.

3. მიღებულ იქნეს ცნობად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ი. ანდრიაძის განცხადება, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 15 ივნისის № 560 განკარგულების შესაბამისად 1990 წლის 1 იანვრამდე იგი უზრუნველყოფს მობინადრეთა გამოყვანას ა. ს. პუშკინის სახელობის ლიტერატურული ურთიერთობების სახლიდან (6 ბინა).

4. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ 1990 წელს აღნიშნული სახლის კაპიტალური შეკეთების საპროექტო დოკუმენტაციის დასამუშავებლად გაითვალისწინონ 30 ათასი მანეთისა და პირველი რიგის სამუშაოების ჩასატარებლად 300 ათასი მანეთის გამოყოფა.

5. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ მაღალპროფესიულ დონეზე შექმნას ა. ს. პუშკინის მემორიალის ახალი ექსპოზიცია, გააძლიეროს სახლის შემოქმედებითი, ლიტერატურული და კულტურული თანამშრომლობა მოძმე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ლიტერატორებსა და მთარგმნელებთან, გამომცემლობებსა და კულტურის მოღვაწეებთან.

6. მოწონებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციო კოლეგიის წინადადება ქართული პუშკინიანის ცენტრთან ა. ს. პუშკინის საზოგადოების შექმნის თაობაზე.

7. დაწესდეს ა. ს. პუშკინის სახელობის პრემია ქართულიდან რუსულ ენაზე და რუსულიდან ქართულ ენაზე საუკეთესო ლიტერატურული თარგმანისათვის.

8. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს აღნიშნული პრემიების დებულება და ა. ს. პუშკინის საზოგადოების წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 9 ოქტომბერი, № 501

ეროვნული ბიბლიოთეკა

101 გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სახალხო თეატრისთვის ვ. დ. გოძიაშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს გურჯაანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება და გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სახალხო თეატრს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირისა და რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატის ვასილ დავითის ძე გოძიაშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 11 ოქტომბერი, № 502

102 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის სრულყოფისა და იურიდიული სამსახურის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში არასაკმარისი ღონისძიებანი ხორციელდება სახალხო მეურნეობის სამართლებრივი მომსახურების უზრუნველსაყოფად სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურების გამოყენების მდგომარეობა, ამ სამსახურებისა და იურისკონსულტთა საქმიანობა სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების, სამართლებრივი რეფორმის განხორციელებისათვის.

2. დაეკისროთ რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელებს პირადი პასუხისმგებლობა იურიდიული სამსახურების სრულყოფისა და გაძლიერების, იურისკონსულტთა მორალური და მატერიალური წახალისების, მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

3. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

— „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 მაისის № 684 დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად წლის დამლევამდე აღადგინონ თავიანთი აპარატებისა და სისტემების წარმოება-დაწესებულებათა იურიდიული სამსახურების მუშაკთა შემცირებული და გაუქმებული შტატები, მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ სამსახურების განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად;

— იურიდიული სამსახურის, იურისკონსულტის შესახებ დებულების შესაბამისად უზრუნველყონ გაერთიანებული იურიდიული სამსახურების დამოუკიდებელ ერთეულებად გამოყოფა და ჩამოყალიბება.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ერთი დარგის საშუალო და წვრილ საწარმოთა მომსახურებისათვის, მათ შორის შეთანხმების საფუძველზე იურიდიული ჯგუფის (ბიუროს, განყოფილების) ორგანიზაცია ერთ-ერთ მათგანში;

— ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა ჯეროვანი სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით სისტემატურად შეისწავლონ სამართლებრივი საქმიანობა საქვეუწყებო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კოლეგიის სხდომებზე მოისმინონ სამეურნეო და იურიდიული სამსახურების ხელმძღვანელთა ანგარიშები, დასახონ ქმედითი ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

— 1990 წლის დამლევამდე დაასრულონ საუწყებო ნორმატიული აქტების გადასინჯვა, მოწესრიგება და სისტემატიზაცია, მიუსადაგონ ეკონომიკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამართლის სადღეისო მოთხოვნებს, მოამზადონ და გამოსცენ მოქმედი საუწყებო ნორმატიული აქტების კრებულები (ნუსხა);

— სამეურნეო ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა ატესტაციისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათი სამართლებრივი მომზადების დონეს;

— უმოკლეს ვადაში შეიმუშაონ და დანერგონ საყოველთაო სამართლებრივი და ეკონომიკური სწავლების ერთიანი და გეგმაზომიერი სისტემა;

— საგულდაგულოდ გააანალიზონ წარმოება-დაწესებულებათა ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა, სოციალისტური საკუთრებისა და კანონიერების დაცვის პირობები, დასახონ ღონისძიებანი სამართლებრივ საშუალებათა გამოსაყენებლად ახალი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის.

4. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ გამსახკომმა წლის დამლევამდე შექმნან სახელმწიფო არბიტრაჟები და დააკომპლექტონ კვალიფიციური იურისტებით.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— განამტკიცონ აღმასკომების იურიდიული სამსახურები კვალიფიციური სპეციალისტებით, სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა აპარატის მუშაკთათვის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში შემოიღონ იურისკონსულტის თანამდებობები ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 თებერვლის № 76 დადგენილების შესასრულებლად უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებისათვის გათვალისწინებული ნომენკლატურული თანამდებობანი განთავისუფლებისას დააკომპლექტონ შესაფერისი პირებით;

— თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ჯეროვნად გამოიყენონ სამართლებრივი საშუალებანი ეკონომიკური რეფორმის განსახორციელებლად, კოორდინაცია გაუწიონ იურიდიული სამსახურების საქმიანობას;

— აამაღლონ სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სახელმწიფო და სახელშეკრულებო დისციპლინის, შრომის, ბუნების დაცვის, საბინაო კანონმდებლობათა განუხრელი შესრულებისათვის, პრინციპული შეფასება მისცენ კანონიერების დარღვევის ყოველ ფაქტს.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს განიხილოს სახალხო დეპუტატთა იმ რაიონული საბჭოების აღმასკომებში იურისკონსულტის საშტატო ერთეულების შემოღების საკითხი, სადაც არ არის იურიდიული სამსახური.

7. რეკომენდაცია მიეცეთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს:

— დანერგონ იურიდიული სამსახურების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმები, აგრეთვე ცალკე დებულებით პრემიერება ბუნები მაჩვენებლებისათვის, როგორიც არის საწარმოს საქმიანობაში კანონიერების დაცვის მდგომარეობა, არამწარმოებლური ხარჯებისა და დებიტორული დავალიანებების შემცირება, საწარმოს ინტერესებისა და უფლებების სათანადო დაცვა და სხვა;

— იურიდიული სამსახურების ხელმძღვანელები და იურისკონსულტები თანამდებობებზე დანიშნონ და დაკავებული თანამდებობებიდან გაათავისუფლონ იუსტიციის სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ.

8. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს:

სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობისადმი მეთოდური ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება და სრულყოფა;

— რესპუბლიკის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის იურიდიული სამსახურების საქმიანობის დადებითი გამოცდილების განზოგადება და დანერგვა;

— რესპუბლიკის იურისკონსულტთა საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობისადმი ყოველმხრივი ხელის შეწყობა, ორგანიზაციული და მეთოდური დახმარების გაწევა, სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე იურისკონსულტების მომზადების დონის ამაღლება, ამ კურსებზე შრომითი კოლექტივების საბჭოს თავმჯდომარეებისა და წევრების სამართლებრივი სწავლება;

— სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურების საკადრო პოლიტიკის გაუმჯობესება და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

9. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ:

— მიმდინარე წლის დამლევამდე შეიმუშაოს და განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებანი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სტუდენტთა და მოსწავლეთა სამართლებრივი მომზადების გასაუმჯობესებლად;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციურ იურისტთა კადრების მომზადებას, გაზარდოს სამეურნეო სამართლის სწავლებისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე;

— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად 1989 წლის დამლევამდე უზრუნველყოს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან საბჭოთა სამართლისა და სამართლებრივი აღზრდის საუწყებათაშორისო კათედრის ორგანიზაცია ქ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟმა გააქტიუროს მუშაობა სამეურნეო ურთიერთობებში სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის, გააფართოოს კავშირი შრომით კოლექტივებთან, პერიოდულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაზოგადოს წარმოება-დაწესებულებებში სახელშეკრულებო მუშაობის პრაქტიკა და წარმოადგინოს შესაბამისი წინადადებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურმა დაგრთაშორისმა ინსტიტუტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამეურნეო ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა სამართლებრივ განსწავლულობას, ამ მიზნით შეიმუშაონ და განახორციელონ სამართლებრივი დისციპლინების სწავლების ვრცელი და ქმედითი პროგრამა.

12. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და სახელმწიფო არბიტრაჟთან ერთად დაამუშაოს და ქართულ ენაზე გამოსცეს სამეურნეო ხელმძღვანელთა და იურისკონსულტთა დასახმარებლად იურიდიული, საცნობარო და სხვა სახის სამართლებრივი ლიტერატურა ახალი კანონმდებლობის შესახებ.

13. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა სისტემატურად გააშუქონ სახალხო მეურნეობის იურიდიული სამსახურების საქმიანობა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის, ამ სფეროში არსებული პრობლემები და დადებითი გამოცდილება, იურისკონსულტთა შრომა.

14. აღნიშნული დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ადმინისტრაციული ორგანოების საკითხთა ჯგუფს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 11 ოქტომბერი, № 503

103 საქართველოს კულტურის საქველმოქმედო საზოგადოების (საქართველოს კულტურის ასოციაცია „პეგასის“) წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს კულტურის საქველმოქმედო საზოგადოების (საქართველოს კულტურის ასოციაცია „პეგასის“) წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 20 ოქტომბერი, № 506

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 20 ოქტომბრის № 506
დადგენილებით

საქართველოს კულტურის საქველმოქმედო საზოგადოების (საქართველოს კულტურის ასოციაცია „პეგასის“)

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს კულტურის საქველმოქმედო საზოგადოება — ასოციაცია „პეგასი“ — არის თვითმმართველობაზე დამყარებული, დამოუკიდებელი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

2. ასოციაცია „პეგასი“ მიზნად ისახავს ქართული კულტურის სულიერი სიმდიდრის პოპულარიზაციას ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთში. ადამიანის ზნეობრივ სრულყოფას, მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებას, თავისუფალი აზროვნებისა და შრომის ნაყოფიერების დაცვას და განვითარებას. ხალხის სოციალური აქტივობის ზრდას ეროვნული კულტურის თავისთავადი და უნიკალური ღირებულებების დასამკვიდრებლად.

3. ასოციაცია „პეგასი“ თავის პროგრამას ახორციელებს დემოკრატიული, კონსტიტუციურად მიღებული მეთოდებით საერთო-სახალხო ინტერესების შესაბამისად საზოგადოების სოციალურ-კულტურული აქტივობის და მოსახლეობის ფართო მასების კულტურულ-ესთეტიკური დონის ამაღლებაში ადგილობრივი ინიციატივის გაზრდის, კულტურის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

4. ასოციაცია „პეგასი“ ეკონომიკურად დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, მოქმედებს სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა თვითდაფინანსების პრინციპით, თვითონ შეიმუშავებს საკუთარ საფინანსო და კომერციულ პროგრამას.

5. ასოციაცია „პეგასი“ ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების სახით ნებაყოფლობის საფუძველზე აერთიანებს ცალკეულ პირებს, აგრეთვე სახელმწიფო საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს (საწარმოებს) საგანმანათლებლო დაწესებულებებს და სხვადასხვა კოლექტივებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ხელი შეუწყონ სახვითი ხელოვნების, არქიტექტურის, დიზაინის, კინემატოგრაფიის, თეატრის, მუსიკისა და საერთოდ კულტურის შემდგომ წინსვლასა და მისი მიღწევების პოპულარიზაციას, მოსახლეობის ფართო მასების სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებას და სხვა ჰუმანისტური იდეალების გავრცელებას ან სხვა მხრივ შეიტანონ წვლილი ამ საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ასოციაცია „პეგასის“ მიზნები და ამოცანები

6. ასოციაცია „პეგასი“ თავის მიზნებსა და ამოცანებს ახორციელებს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის:

— აქტიურად მონაწილეობს ქართული კულტურის მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პროპაგანდაში, ფართო საზოგადოებისათვის მსოფლიო კულტურის მიღწევების გაცნობაში;

— განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოზარდი თაობის ზნეობრივ და ესთეტიკურ ფორმირებას. ამ მიზნით აქტიურად თანამშრომლობს ნებისმიერ სასწავლოაღმზრდელობითს დაწესებულებასთან;

— სათანადოდ ზრუნავს რესპუბლიკის გარეთ მცხოვრებ ქართველთა შორის ქართული კულტურის მიღწევების დამკვიდრებაში, რისთვისაც ახორციელებს სხვადასხვა საქველმოქმედო პროგრამას.

7. ასოციაცია „პეგასი“ ძირითად ამოცანად ისახავს ახალი შემოქმედებითი იდეების სწრაფ რეალიზაციას, რისთვისაც ქმნის ასოციაციის პირველად ორგანიზაციებს კულტურის სამინისტროსთან, სხვადასხვა უწყებებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, კოოპერატივებთან საერთო მიზნებისა და ამოცანების პროფესიულად გადაჭრისათვის.

8. ასოციაცია „პეგასი“ შეიმუშავებს ფართო პროგრამას სიმპოზიუმების, ფესტივალების, დისპუტების, გამოფენების, ბიენალების, პლენერების და სხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების მოსაწყობად.

9. ასოციაცია „პეგასი“ მატერიალურად და მორალურად მხარს უჭერს ყველა წამოწყებას და სიახლეს ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლინებისათვის. ხელს უწყობს სხვადასხვა ექსპერიმენტულ და კვლევითს სამუშაოებს ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისათვის.

10. ასოციაცია „პეგასი“ ფართოდ იყენებს საქველმოქმედო პროგრამას მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სოციალურ-კულტურული აქტიურობის გამოსავლინებლად, ახალისებს ყოველგვარ ინიციატივას, მიმართულს რესპუბლიკაში ეკოლოგიური და დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

III. ასოციაცია „პეგასის“ წევრები, მათი უფლებები და მოვალეობანი

11. ასოციაცია „პეგასის“ წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოქალაქე 14 წლის ასაკიდან ეროვნების, რწმენის, პარტიულობის, განათლებისა და პროფესიის მიუხედავად, აგრეთვე სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციები (საწარმოები), საგანმანათლებლო დაწესებულებები, სხვადასხვა კოლექტივები, გაერთიანებები, რომლებიც აღიარებენ საზოგადოების წესდებას და აღმოუჩენენ ასოციაციას ნებაყოფლობით მატერიალურ ან სხვა სახის დახმარებას მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

„პეგასის“ წევრი არ შეიძლება გახდეს ის მოქალაქე ან ორგანიზაცია, რომლის მოქმედება და საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის წესდებას, მის მიზნებსა და ამოცანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ასოციაცია „პეგასის“ წევრს უფლება აქვს:

— აირჩიოს ან თვითონ იქნეს არჩეული ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოში;

— მიიღოს სამუშაო უნარის, პროფესიული მომზადების, ასოციაციის შესაძლებლობისა და მოთხოვნათა გათვალისწინებით;

— მიიღოს შრომის ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით;

— ისარგებლოს ასოციაციის ქონებით;

— შემოიტანოს წინადადებები ასოციაციის ამოცანების ოპერატიულად გადასაწყვეტად და საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

— სურვილისამებრ გავიდეს ასოციაციიდან.

13. ასოციაცია „პეგასის“ წევრი ვალდებულია:

— ასრულებდეს ასოციაციის წესდებას, დავალებებს, აქტიურად მონაწილეობდეს ასოციაციის საქმიანობაში, მისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად;

—პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობისას მუდამ იღვწოდეს ასოციაციის პრესტიჟისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის, ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის;

— იცავდეს შრომითს და საშემსრულებლო დისციპლინას და პასუხს აგებს თავისი მუშაობის შედეგებისათვის;

— უზრუნველყოფდეს პროდუქციის მაღალ ხარისხს, უფრთხილდებოდეს ასოციაციის საკუთრებას, არ დაუშვას უყაირათობა და დაუდევრობა.

14. ის პირი ან ორგანიზაცია, რომელიც დაარღვევს ასოციაცია „პეგასის“ წესდებას, შრომის განაწესს, არ შეასრულებს ასოციაციის დავალებას, ზარალს მიაყენებს მას, გაირიცხება ასოციაციიდან შრომის აუნაზღაურებლად და დაეკისრება მიყენებული ზარალის კომპენსაცია.

15. ასოციაცია „პეგასში“ შრომით დაკავებულ თითოეულ წევრზე იხსნება შრომის წიგნაკი, მუშა-მოსამსახურეთა მიმართ გათვალისწინებული წესით, იმ გამონაკლისის გარდა, როცა ასოციაციის წევრისათვის ძირითად სამუშაო ადგილად ითვლება სახელმწიფო. კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (საწარმო).

IV. ასოციაცია „პეგასის“ ძირითადი მიმართულებანი, საზოგადოებრივი და საწარმო-სამეურნეო მოღვაწეობა

16. ასოციაცია „პეგასი“ ეკონომიკურად დამოუკიდებელი, თვითმმართველობაზე დამყარებული ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, მოქმედებს სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპით. თვითონ, დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი საქმიანობის მოცულობასა და სტრუქტურას, ახორციელებს დაგეგმვას და საჭირო შემთხვევაში შეაქვს მასში შესწორებანი. იღებს ნებისმიერ გადაწყვეტილებას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

17. ასოციაცია „პეგასი“ შეიმუშავებს და განახორციელებს ვრცელ პროგრამას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

— მხატვრობა, არქიტექტურა, დიზაინი, კინო, თეატრი, მუსიკა, ეკოლოგია, დემოგრაფია, სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედება და სხვ.;

— სიმპოზიუმების, ფესტივალების, კონცერტების, გამოფენებ[illegible]ლების, პლენერების, დისპუტების, კონკურსების, აუქციონებისა და სხვა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზება და ჩატარება;

— სწავლება სახვით ხელოვნებაში, მუსიკაში, ქორეოგრაფიაში, ფოტო-კინოხელოვნებაში და სხვ.

18. ასოციაცია „პეგასი“ ასრულებს საპროექტო სამუშაოებს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების (საწარმოების), აგრეთვე მოქალაქეთა შეკვეთით, რომელიც ითვალისწინებს:

— საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, საბავშვო ბაღების, სკოლებისა და პიონერთა ბანაკების, სავაჭრო, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, საწარმოთა ტერიტორიებისა და მიმდებარე ტერიტორიების, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და აგარაკების, საბაღე სახლების დაპროექტება-დაგეგმარებას, რეკონსტრუქცია-რეგენერაციისა და მოდერნიზაციის საპროექტო სამუშაოებს.

19. ასოციაცია „პეგასი“ ქმნის სახვითი ხელოვნების ნიმუშებს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების (საწარმოების), აგრეთვე მოქალაქეთა შეკვეთით, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის ფერწერული და გრაფიკული სურათების, მონუმენტური, საგამფორმებლო და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების, სახალხო მოხმარების მხატვრული პროდუქციის, კერამიკული და სხვადასხვა სახის მხატვრული ნაწარმის შექმნასა და რეალიზაციას.

20. ასოციაცია „პეგასი“ ქმნის სხვადასხვა სახისა და ფორმის დიზაინის ნიმუშებს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების (საწარმოების), აგრეთვე მოქალაქეთა შეკვეთით, რომელიც ითვალისწინებს:

— მცირე არქიტექტურული ფორმების დაპროექტებას და დამზადებას, ავეჯის, ტანსაცმლის, სახალხო მოხმარების და ყოფის სხვა საგნების მხატვრულ კონსტრუირებას და დამზადებას; სამრეწველო გრაფიკის ნიმუშების შექმნას, სამრეწველო ესთეტიკის სრულყოფას: ტყავის, ლითონის, პლასტმასისა და სხვა საგალანტერეო ნიმუშებისა და სუვენირების დამზადებას.

21. ასოციაცია „პეგასი“ ქმნის სხვადასხვა სახის ვიზუალურ პროდუქციას სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების (საწარმოების), აგრეთვე მოქალაქეთა შეკვეთით, რომელიც ითვალისწინებს:

— სარეკლამო ბუკლეტების, კატალოგების, ალბომების, პროსპექტების, პლაკატების დამზადებას; საფირმო ნიშნების, სასაქონლო ნიშნების, მოსაწვევი და მისალოცი ბარათების, ესტამპების, სახალხო მოხმარებისა და სხვა სახის სახვითი პროდუქციის დამზადებასა და რეალიზაციას.

აქტიურად თანამშრომლობს გამომცემლობებთან და პოლიგრაფიულ საწარმოებთან.

22. ასოციაცია „პეგასი“ თეატრალურ და მუსიკალურ კოლექტივებთან ერთად აწყობს სპექტაკლებს, კონცერტებს, ავლენს და მხარს აჭერს ახალგაზრდა შემოქმედთა წამოწყებებს ქართული თეატრალური და მუსიკალური კულტურის ფართოდ განვითარების საქმეში. შესაბამის უწყებებთან, ორგანიზაციებთან ერთად მეთოდურ დახმარებას უწევს ახალგაზრდა შემსრულებელთა ჯგუფებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ზრუნავს კოლექტიური და ინდივიდუალური შემსრულებლების მუშაობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებისათვის, ქმნის საკუთარ შემოქმედებითს კოლექტივებს.

23. ასოციაცია „პეგასი“ მხარს უჭერს ყოველგვარ ინიციატივას რესპუბლიკაში ეკოლოგიური და დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად. მიაჩნია, რომ გარემოს გაჯანსაღება უნდა გახდეს ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღის მთავარ მიმართულებად.

24. ასოციაცია „პეგასი“ ხელს უწყობს მოქალაქეების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების წარმოჩენას; ახალისებს ექსპერიმენტულ-კვლევითს სამუშაოებს შემდგომში მისი შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის.

აქტიურად თანამშრომლობს სამეცნიერო-კვლევით და საწარმოო ორგანიზაციებთან, ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების ცენტრებთან, გაერთიანებებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

25. ასოციაცია „პეგასი“ შემოქმედებითი იდეებისა და უახლესი საწარმოო მაჩვენებლების ათვისებისა და დანერგვისათვის საქმიან კონტაქტებს ამყარებს სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სამეცნიერო, საპროექტო და კოოპერაციულ ორგანიზაციებთან, თანამშრომლობს საზღვარგარეთის შემოქმედებითს ორგანიზაციებთან, წამყვან ფირმებთან.

26. ასოციაცია „პეგასი“ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდების მიზნით აწყობს გამოფენა-გაყიდვებს, აუქციონებს, მონაწილეობს საბითუმო ბაზრობებში, ახორციელებს საგარეოსავაჭრო ოპერაციებს უცხოელ პარტნიორებთან.

27. ასოციაცია „პეგასი“ დადგენილი წესით მონაწილეობს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში, ხელს უწყობს სავალუტო რესურსების დაგროვებას, ახორციელებს კომერციულ და შემოქმედებით-ტექნიკურ თანამშრომლობას უცხოელ პარტნიორებთან. საჭიროების შემთხვევაში სხვა ქვეყნებში მიავლენს ასოციაციის წევრებს საზღვარგარეთის სხვადასხვა ორგანიზაციათა საქმიანობის გამოცდილების გასაცნობად, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, იწვევს უცხოელ სპეციალისტებს.

საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან, საწარმოებთან, ფირმებთან ერთად ქმნის სპეციალისტთა საერთაშორისო კოლექტივებს, კულტურის ცენტრებს, წარმომადგენლობებს, ერთობლივ საწარმოებს.

სხვა ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარების მიზნით მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში, საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში, კონკურსებში, ფესტივალებსა და სიმპოზიუმებში.

28. ასოციაცია „პეგასი“ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის მიზნით სახელშეკრულებო საფუძველზე სარგებლობს სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვა დაწესებულებების ნამუშევრებით, ქმნის მათთან ერთად საწარმოო-შემოქმედებითს კოლექტივებს, ასრულებს კვლევითსა და ექსპერიმენტულ სამუშაოებს.

თანამშრომლობს მოიჯარე ორგანიზაციებთან და იწვევს საჭირო სპეციალისტებს, თვითონ გამოდის მოიჯარე ორგანიზაციის როლში.

29. ასოციაცია „პეგასი“ მის წინაშე მდგომი ამოცანების რეალიზაციისათვის, კოლექტივის წევრთა შემოქმედებითი და საწარმოო ინიციატივის სოციალური აქტივობის გაზრდის მიზნთ სახალხო დეპუტატთა ადგლობრივ საბჭოებთან შეთანხმებით ქმნის ტერიტორიულად განკერძოებულ განყოფილებებს, საწარმოებს, სახელოსნოებს, საამქროებს, ლაბორატორიებს, საფირმო მაღაზიებს, სალონებს, საგამოფენო დარბაზებს კაფეტერიით, სალონ-ბარებს, კოლექციონერის კლუბებს, ხსნის ასოციაციის ცენტრებსა და წარმომადგენლობებს.

საჭიროების შემთხვევაში ქმნის კოოპერატივს, იძენს ანტიკვარულ ნიმუშებს რესტავრაციისა და რეალიზაციისათვის, აგიტაციასა და რეკლამას უწევს ასოციაციის პროგრამას და საკუთარ პროდუქციას.

30. შემოქმედებითი, სამეურნეო-საწარმოო და სხვა ურთიერთობა ასოციაციას და სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერაციულ ორგანიზაციებს (საწარმოებს) და მოქალაქეთა შორის რეგულირდება ხელშეკრულებით.

31. ასოციაცია „პეგასი“ დასახული ამოცანების გადასაჭრელად სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კოოპერაციული ორგანიზაციებისაგან, საწარმოებისაგან, აგრეთვე მოქალაქეებისაგან იძენს, ბალანსიდან ბალანსზე ან იჯარით იღებს შენობებს, ნაგებობებს, სატრანსპორტო საშუალებებს, მანქანებს, მოწყობილობებს, ინსტრუმენტებს, იძენს საჭირო ნედლეულს, მასალებს, ნახევარფაბრიკატებს, დასაკომპლექტებელ ნაწარმს, რეკვიზიტს.

იყენებს ასოციაციის კოლექტიურ და ინდივიდუალურ წევრთა, შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულ პირთა და სხვა მოქალაქეთა ავტოტრანსპორტს, შენობებს, ნაგებობებს, სახელოსნოებს, დანადგარებს, ინსტრუმენტებს და სხვა ქონებას ამორტიზაციისა და დანახარჯების ანაზღაურებით.

32. ასოციაცია „პეგასი“ სხვა ორგანიზაციებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს მიჰყიდის, გადასცემს, გაუცვლის ან აძლევს იჯარით, სესხად თუ უფასოდ, უვადო ან დროებითი სარგებლობისათვის შენობებს, ნაგებობებს, სატრანსპორტო საშუალებებს, მოწყობილობებს, ინვენტარს, მასალას, ნედლეულს ან სხვა მატერიალურ ფასეულობას, ბალანსიდან ჩამოწერს ძირითად ფონდებს, თუ ისინი გაცვდა ან მოძველდა.

33. ასოციაცია „პეგასის“ მიერ შესრულებულ სამუშაოთა, მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ცენტრალიზებულად დადგენილი ფასებით — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის, სსრ კავშირის გამსახკომის, სსრ კავშირის სახკინოს, სახელშეკრულებო და საკუთრივ ასოციაციის ფასებით.

V. ასოციაცია „პეგასის“ სახსრები და ამ სახსრებით სარგებლობა

34. ასოციაცია „პეგასის“ სახსრები იქმნება მომსახურებიდან, პროდუქციის რეალიზაციით და მიღებულია სხვა შემოსავლისაგან, რომელიც დაკავშირებულია ასოციაციის ძირითად საქმიანობასთან, ასოციაციის კოლექტიური და ინდივიდუალური წევრების ნებაყოფლობითი შენატანების, გარეშე პირთა ან ორგანიზაციათა შემოწირულებების (მათ შორის უცხოეთისაგანაც), დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი დარგობრივი მიმართულების, ქვედანაყოფის ჩანარიცხებისაგან, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შედეგად მიღებული სახსრებისა და ბანკის კრედიტების ხარჯზე.

35. ასოციაცია „პეგასი“ თავის ფულად სახსრებს ინახავს სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის განყოფილებებში, აწარმოებს ყველა საკასო და ანგარიშსწორების ოპერაციებს, საჭიროების შემთხვევაში ფულადი ოპერაციების ანგარიშს ხსნის პროდუქციის რეალიზაციის ადგილებში, ან სხვაგან, თუ ეს აუცილებელი იქნა.

36. ასოციაცია „პეგასის“ შემოსავალი გამოიყენება მატერიალური დანახარჯების ასანაზღაურებლად, საჭირო ჩარიცხვებისათვის: ასოციაციის წევრთა და შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულ პირთა შრომის ასანაზღაურებლად, პრემიებისა და მატერიალური დახმარებისათვის, ასოციაციის განვითარების ფონდის შესაქმნელად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სოციალური ღონისძიებების განსახორციელებლად, გამოფენების, მუსიკალური და თეატრალური წარმოდგენების, სპექტაკლების, ფესტივალების, სიმპოზიუმებისა და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად, საქველმოქმედო პროგრამის რეალიზაციისათვის, გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის.

37. ასოციაცია „პეგასის“ მოგების სახსრების ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციებთან (საწარმოებთან) ერთად საწარმოების, საბინაო და კულტურულ-სოციალური დანიშნულების ობიექტების წილობრივი მშენებლობისათვის ან, ასეთი ობიექტების დამოუკიდებლად შეძენისათვის, საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის თავის შეხედულებისამებრ შეუზღუდავად იყენებს მის განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებს, მათი შექმნის წყაროების მიუხედავად.

გამოუყენებელი სახსრები რჩება „პეგასის“ განკარგულებაში, არ ექვემდებარება ამოღებას და შეიძლება დაგროვდეს მომდევნო წლებში გამოყენებისათვის.

38. ასოციაცია „პეგასის“ ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვა ან გაცემა ხდება პრეზიდენტის განკარგულებით.

ფულადი სახსრების ხარჯვის მიზნობრივ განაწილებას განსაზღვრავს ასოციაციის პრეზიდენტი.

39. ასოციაცია „პეგასი“ შემოქმედებითი და შრომითი კოლექტივების ინიციატივის განვითარებაში დემოკრატიულ წამოწყებათა გაღრმავების მიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით, რაც ხელს შეუწყობს ქართული კულტურის შემდგომ განვითარებას და მისი მიღწევების პოპულარიზაციას, რესპუბლიკაში ეკოლოგიურ-ეკონომიკურ მოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას, იზიდავს სხვადასხვა ორგანიზაციებს და საწარმოებს სააქციონერო ბანკის შესაქმნელად.

40. ასოციაცია „პეგასი“ ახალისებს ცალკეულ პირებსა და კოლექტივებს ასოციაციის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

„პეგასი“ სახელობით სტიპენდიას უნიშნავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საუკეთესო სტუდენტებს.

VI. ასოციაცია „პეგასის“ შრომის ორგანიზაცია და შრომის ანაზღაურება

41. ასოციაცია „პეგასში“ ყველა სამუშაოს ასრულებენ ასოციაციის წევრები, შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული პირები, აგრეთვე მოიჯარე ორგანიზაციები. ასოციაციის წევრები და შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირები წარმოადგენენ ასოციაციის შრომითს კოლექტივს.

42. ასოციაცია „პეგასი“ ყველა სამუშაოს ასრულებს საკუთარ საწარმოებში, საამქროებში, სახელოსნოებში, ლაბორატორიებში ან სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციული ორგანიზაციებისაგან (საწარმოებისაგან), აგრეთვე მოქალაქეებისაგან იჯარით აღებულ შენობებში, ნაგებობებში, ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების საკუთრებაში არსებულ საწარმოებში, სახელოსნოებში, ლაბორატორიებში.

43. ასოციაცია „პეგასის“ წევრებსა და შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულ პირებს შორის სამუშაოს ანაწილებს ასოციაციის პრეზიდენტი.

44. ასოციაცია „პეგასში“ სამუშაო დღის ხანგრძლივობა, დასვენების დღეების რიგი და ასოციაციის წევრთა და შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულ პირთა შრომის ორგანიზაციის სხვა საკითხები რეგულირდება ასოციაციის შინაგანაწესით.

45. ასოციაცია „პეგასი“ ასოციაციის წევრებსა და შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირებს ხელფასს უხდის თვეში ერთხელ, მათი შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით მხარეთა შეთანხმებით, ხელფასის მაქსიმალური ოდენობის შეუზღუდავად.

46. ასოციაციის პრეზიდენტი ორგანიზაციულ და ტექნიკურ მოვალეობათა შესასრულებლად შეიმუშავებს და ამტკიცებს ეკონომიკური ნორმატივების შესაბამისად საშტატო ერთეულებს და მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრავს მათი ხელფასის ოდენობას.

47. ასოციაცია „პეგასი“ დამოუკიდებლად, თვითონ განსაზღვრავს მის სალაროში მუდმივად არსებული ნაღდი ფულადი სახსრების ზღვრულ ოდენობას მიმდინარე ხარჯებისათვის.

48. ხელფასის გადახდა ასოციაციის წევრებისა და შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირებისათვის წარმოებს შემკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასოციაციის ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. ასოციაცია „პეგასი“ ფართოდ გამოიყენებს მატერიალურ-ტექნიკურ-ლირებისა და მორალური წახალისების სისტემას საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის, კეთილსინდისიერი შრომისათვის.

50. შრომის დისციპლინის ან ასოციაციის წესდების დარღვევისათვის დამნაშავე პირი ისჯება სადისციპლინო წესით, ხოლო თუ ამ დარღვევას მოჰყვა მატერიალური ზარალი, მისი ანაზღაურებით.

სადისციპლინო პასუხისმგებლობის ზომას ასოციაცია თვითონ შეიმუშავებს.

VII. ასოციაცია „პეგასის“ ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი მართვა

51. ასოციაცია „პეგასის“ უმაღლესი განმკარგულებელი ორგანოა ასოციაციის ყრილობა, რომელსაც ხუთ წელიწადში ერთხელ იწვევს ასოციაციის პრეზიდიუმი.

აუცილებლობის შემთხვევაში ასოციაციის პრეზიდიუმს შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა.

52. ასოციაციის ყრილობა ისმენს, განიხილავს და ამტკიცებს ასოციაციის პრეზიდიუმისა და სარევიზიო საბჭოს ანგარიშებს.

ისმენს დარგობრივ მიმართულებათა ხელმძღვანელების, კოლექტიური წევრი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინფორმაციებს საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. შეიმუშავებს არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენების რეკომენდაციებს.

შეაქვს ასოციაციის წესდებაში ცვლილებანი და დამატებანი და ამტკიცებს მას.

ლია კენჭისყრით, ხმის უმრავლესობით, 5 წლის ვადით ირჩევს ასოციაციის პრეზიდენტს, პრეზიდიუმს, სარევიზიო საბჭოს თავმჯდომარეს.

53. ასოციაცია „პეგასის“ პრეზიდენტი ახორციელებს ასოციაციის ყველა საქმიანობის ხელმძღვანელობას, განაგებს ასოციაციის მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს. იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის ვამგებლობაში მყოფი საწარმოების, სახელოსნოების, ლაბორატორიების, სალონების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ, პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

ქმნის უშუალოდ მისადმი დაქვემდებარებულ სამუშაო აპარატს, ამტკიცებს საშტატო განრიგსა და ხელფასის ფონდს, ხარჯთაღრიცხვას. აქვს მუშამოსამსახურეთა მიღებისა და დათხოვნის უფლება. გასცემს სხვადასხვა ცნობებს, მინდობილობებს, ხელს აწერს ხელშეკრულებებს, ფინანსურ დოკუმენტებს. იწვევს და წარმართავს პრეზიდიუმის სხდომას, ხელს აწერს მის გადაწყვეტილებებს, ახორციელებს სხვადასხვა იურიდიულ აქტს.

წარმოადგენს ასოციაციას სახელმწიფო ორგანიზაციებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, გაერთიანებებთან, კოოპერატივებთან, კერძო პირებთან, საზღვარგარეთის ფირმებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში.

54. ასოციაცია „პეგასის“ პრეზიდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს შემოქმედებით სამუშაოთა შემუშავებაში საავტორო უფლებით, აგრეთვე სათავეში ჩაუდგეს ავტორთა ჯგუფს, როგორც ხელმძღვანელი.

55. ასოციაცია „პეგასის“ პრეზიდიუმი განსაზღვრავს ასოციაციის საზოგადოებრივ მოღვაწეობას. შეიმუშავებს ასოციაციის კულტურულ-სოციალური ღონისძიებების პროგრამას, უშუალოდ იღებს მონაწილეობას მის განხორციელებაში. იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს ასოციაციის ამოცანებისა და მიზნების განსახორციელებლად. ქმედით დახმარებას უწევს სხვადასხვა ღონისძიებათა ორგანიზებულად მომზადებასა და ჩატარებას. წარმართავს ასოციაციის დარგობრივ მიმართულებებს, რეკომენდაციას უწევს ასოციაციის წევრთა საუკეთესო ნამუშევრებს ჯილდოზე წარსადგენად.

56. ასოციაცია „პეგასის“ სარევიზიო საბჭო პერიოდულად ამოწმებს ასოციაციის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას, ახორციელებს მატერიალურ ფასეულობათა რევიზიას და აღრიცხვას.

VIII. ასოციაცია „პეგასის“ სტატუსი და უფლებრივი მდგომარეობა

57. ასოციაცია „პეგასი“ თვითმმართველობაზე დამყარებული დამოუკიდებელი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, თვითონ განსაზღვრავს თავისი საქმიანობის სტრუქტურას, იღებს ნებისმიერ გადაწყვეტილებებს (მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით), აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება, შტამპი და გერბიანი მრგვალი ბეჭედი თავისი სახელწოდებით, ემბლემა, აგრეთვე საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები.

58. ასოციაცია „პეგასს“ თავისი ამოცანებისა და მიზნების შესაბამისად უფლება აქვს შეიძინოს ან გაასხვისოს ქონება, განახორციელოს სხვადასხვა იურიდიული აქტი, გამოვიდეს სასამართლოებსა და არბიტრაჟებში, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ორგანიზაციათა მუშაობაში, რომელთა მოღვაწეობა ასოციაციის ამოცანებს ესადაგება.

IX. ასოციაცია „პეგასის“ რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

59. ასოციაცია „პეგასის“ რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს ასოციაციის ყრილობის გადაწყვეტილებით. ასოციაციის ლიკვიდაციის შემდგომ დარჩენილი ქონების გამოყენება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

60. საქართველოს კულტურის ასოციაცია „პეგასის“ ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

104 რესპუბლიკაში კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო დაწესებულებათა ქსელის მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის წინადადებების გათვალისწინებით საქართველოს სს რესპუბლიკაში კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო დაწესებულებების ქსელის მოწესრიგების, მათი ნორმალური ფუნქციონირებისა და მართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს რესპუბლიკის სამინისტროებთან, უწყებებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტები და კურსები (დანართი № 1) და მათი კონტინგენტის კვალიფიკაციის ამაღლება 1989/90 სასწავლო წლიდან დაიკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ დარგთაშორის ინსტიტუტს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის სასწავლო კორპუსის და საერთო საცხოვრებლის მშენებლობის დამთავრებამდე რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა არსებული წესის მიხედვით უზრუნველყონ აღნიშნული ინსტიტუტისათვის გადაცემული ფაკულტეტებისა და კურსების ნორმალური მუშაობისათვის კაბინეტ-ლაბორატორიების, სასწავლო აუდიტორიების, აგრეთვე საერთო საცხოვრებლებში ადგილების გამოყოფა.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის საშუალო წლიური კონტინგენტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 დეკემბრის № 596 დადგენილების № 1 დანართის მიხედვით განისაზღვროს 2000 მსმენელით და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1978 წლის 16 თებერვლის № 51 დადგენილების შესაბამისად მიეკუთვნოს მას შრომის ანაზღაურების პირველი კატეგორია.

4. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის დებულება, სტრუქ-

ტუა და დროებითი საშტატო განრიგი, № 2, № 3 და № 4 დანართების მიხედ-ვად*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოუყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ დაოგთაშორის ინსტიტუტს 1989-1990 წლებში ძირითადი საოჯახო, სასწავლო და საყოფაცხოვრებო ინვენტარ-მოწყობილობის ერთჯერადი თანხები წარდგენილი განაცხადების შესაბამისად.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოუყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ დაოგთაშორის ინსტიტუტს 1990 და მომდევნო წლებში ელექტროგამოთვლელი ტექნიკა, ავტომატრანსპორტო საშუალებები, სასწავლო და საყოფაცხოვრებო ინვენტარ-მოწყობილობის, ავეჯის, ქაღალდის, საწვავ-საცხები და სხვა ძირითადი ფონდები წარდგენილი განაცხადების მიხედვით.

7. საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ გამსახკომმა გამოუყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ დაოგთაშორის ინსტიტუტს 1989-1990 წლებში ოპერატიულ-პოლიგრაფიული მოწყობილობა წარდგენილი განაცხადების მიხედვით.

8. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ:

— დაუდგას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ დარგთაშორის ინსტიტუტს შესაძლო რაოდენობის საქალაქო ტელეფონები;

— მოაწყოს რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის შენობაში „სოიუზპეჩატის" ჯიხური და გამსახკომთან ერთად უზრუნველყოს მისი შეუფერხებელი მომარაგება საჭირო ასორტიმენტის საქონლით.

9. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ:

გამოუყოს რესპუბლიკურ დარგთაშორის ინსტიტუტს 1989-1990 წლებში 4 კომპლექტი „კუვტ-86" და 5 კომპლექტი „კორვეტის" მარკის კომპიუტერული კლასები.

10. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის თანამშრომელთა და მსმენელთათვის შესაბამისი საზოგადოებრივი კვების ობიექტების მოწყობა.

11. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ მოაწყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუ-

*) სტრუქტურა და დროებითი საშტატო განრიგი არ ქვეყნდება.

შაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის შენობაში საყოფაცხოვრებო მომსახურების [illegible].

12. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოაწყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის შენობაში სამედიცინო მომსახურების პუნქტი.

13. დაევალოს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 თებერვლის № 166 დადგენილების შესაბამისად ყოველწლიურად დროულად გააფორმონ ორმხრივი ხელშეკრულებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ დარგთაშორის ინსტიტუტთან მათთან დასაქმებული ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების ფორმების, ვადების და სხვა აუცილებელი პირობებისა და მოთხოვნების ჩვენებით.

14. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 თებერვლის № 166 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 დეკემბრის № 596 დადგენილების შესასრულებლად დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გამოყოს შესაბამისი თანხები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის 15 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის სასწავლო კორპუსის და 900-ადგილიანი სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლის ასაშენებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამუშავებლად.

15. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ დარგთაშორის ინსტიტუტს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა საწარმოო-ეკონომიკურ სწავლებაში სასწავლო-მეთოდიკური ცენტრის ფუნქციები, მისთვის დადგენილი მსმენელთა კონტინგენტის კატეგორიების შესაბამისად.

16. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის რექტორის, პროორექტორების და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა თანამდებობები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 თებერვლის № 161 დადგენილებით დამტკიცებული ნომენკლატურულ თანამდებობათა ნუსხაში (რექტორისა და პროორექტორების თანამდებობები № 1 და № 3, ხოლო სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა თანამდებობები № 4 დანართებში).

17. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურმა დარგთაშორისმა ინსტიტუტმა შესაბამის საკავშირო სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დააყენონ საკითხი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მათი დაქვემდებარების კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო დაწესებულებათა, ფილიალებისა და ფაკულტეტების აღნიშნულ დარგთაშორისი ინსტიტუტისათვის გადაცემის შესახებ.

18. შეყვანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის რექტორი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან აოსებული სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისიის შემადგენლობაში.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვისა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტების ხელმძღვანელობამ დააკონკრეტოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 დეკემბრის № 596 დადგენილების შესაბამისად გახსაზღვრული მუშაკთა პერსონალური კონტინგენტი და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის კულტურისა და განათლების განყოფილებას შესათანხმებლად.

20. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტისათვის საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის 1989 წლის 16 მაისის ბრძანებით გამოიყო ართვინის ქუჩის № 53-ში მდებარე ქ. თბილისის № 5 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობა-ნაგებობანი;

— თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოყო მიწის ნაკვეთი აღნიშნული ინსტიტუტის კომპლექსის მშენებლობისათვის ლისის ტბის მიმდებარე ტერტორიაზე;

— სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1988 წლის 9 აგვისტოს № 265 ბრძანების თანახმად რესპუბლიკაში მიმდინარეობს და წლის დამლევამდე დამთავრდება კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო დაწესებულებების ატესტაცია, რომლის შედეგები განხილული იქნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯიოევანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 24 ოქტომბერი, № 517

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 24 ოქტომბრის
გენილების დანართი

რესპუბლიკის სამინისტროებთან, უწყებებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული სახალხო მეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტები და კურსები, რომლებიც გაუქმებას ექვემდებარებიან*

1. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტთან არსებული მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი.
2. საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებული ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.
3. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსთან არსებული კავშირგაბმულობის კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსები.
4. ქ. თბილისის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამმართველოსთან არსებული კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

---

*. აღნიშნულ კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო დაწესებულებებში უქმდება მხოლოდ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 24 ოქტომბრის № 517 დადგენილებით (დანართი № 2)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტი* არის სასწავლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სასწავლო, სამეცნიერო (დადგენილი წესით) და ორგანიზაციულ-მეთოდურ მუშაობას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, წარმოადგენს მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დარგში მიღწევების შესწავლისა და პროპაგანდის სასწავლო-მეთოდური და უწყვეტი საწარმოო-ეკონომიკური სწავლების ცენტრს.

2. რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის უშუალო ხელმძღვანელობით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

3. რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტი მუშაობს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების წლიური და ხუთწლიანი გეგმების შესაბამისად, რომლებიც შემუშავდება რესპუბლიკის სამინისტროებთან, უწყებებთან, გაერთიანებებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე და მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ.

4. რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტი ვალდებულია:

— ოპერატიულად და სრულად დააკმაყოფილოს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოთხოვნილება ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების დარგში;

— უზრუნველყოს, რომ მსმენელებმა საფუძვლიანად აითვისონ მეურნეობის გაძღოლის უახლესი მეთოდები, უახლესი მიღწევები მეცნიერებისა და ტექნიკის შესაბამის დარგებში, შრომის ტექნოლოგია და ორგანიზაცია, სამამულო და უცხოური მოწინავე გამოცდილება ბუნების რაციონალური და კომპლექსური სარგებლობის, შრომითი და მატერიალური რესურსების ყაირათიანად გამოყენების დარგში, ღრმად შეისწავლონ სახალხო მეურნეობის მართვის

---

*. შემდგომში ტექსტში შემოკლებით — „რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაქმნასთან, დარგების სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსებისა-
რობებზე გადასვლასთან, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ
კავშირის კანონის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები;

— უზრუნველყოს ხელმძღვანელი მუშაკების მიერ საზოგადოებრივი ცხოვ-
რების ყველა სფეროს დემოკრატიზაციის პირობებში შრომითი კოლექტივე-
ბის მართვის, ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის პრაქტიკაში გამოყენე-
ბის ჩვევები, იმის უნარი, რომ თავისუფლად ერკვეოდნენ თანამედროვე სა-
მეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციაში და ეფექტიანად იყენებდნენ მას პრაქტი-
კული ამოცანების გადაწყვეტისას;

— განუხრელად გააუმჯობესოს მსმენელთა სწავლების ხარისხი, სრულ-
ყოს მეცადინეობების ფორმები და მეთოდები, უზრუნველყოს სასწავლო-აღ-
მზრდელობითი პროცესის ინტენსიფიკაცია, განავითაროს მუშაკთა სწავლების
ინდივიდუალიზაცია, მათ შორის სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების,
საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ
მიცემულ კონკრეტულ დავალებათა საფუძველზე;

—უზრუნველყოს განათლების, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაცია,
კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების აქტუალური პრობლე-
მების მეცნიერული კვლევა;

— კონსულტაცია გაუწიოს საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

—განახორციელოს მსმენელთა სწავლების შედეგების შესაბამისად მათი
პროფესიული ცოდნისა და საქმიანი თვისებების კომპლექსური შეფასება და
ამის საფუძველზე შეიმუშაოს რეკომენდაციები სამინისტროების, უწყებების,
გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელ-
მძღვანელთათვის მუშაკთა შემდგომი გამოყენების საქმეში;

— აამაღლოს პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის კვალიფიკაცია,
მათი იდეურ-პოლიტიკური, პედაგოგიური, სოციალური და კულტურული
დონე;

— სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შექმნას სასწავლო-მატერია-
ლური ბაზა, აღჭურვოს იგი უახლესი მოწყობილობით, პოლიგრაფიული, ორგა-
ნიზაციული და გამომთვლელი ტექნიკით, შეუქმნას მსმენელებს საჭირო საბი-
ნაო-საყოფაცხოვრებო, დამოუკიდებელი მუშაობისა და კულტურული დასვე-
ნების პირობები.

5. რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტი ასრულებს ხელმძღვანელ
მუშაკთა და სპეციალისტთა პროფესიული და ეკონომიკური სწავლების რეს-
პუბლიკური დარგთაშორისი სასწავლო-მეთოდური ცენტრის ფუნქციებს.

რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის მსმენელები

6. რექტორის ბრძანებით ინსტიტუტში მსმენელებად ჩაირიცხებიან ის პი-
რები, რომლებსაც დამტკიცებული გეგმის ფარგლებში მიავლენენ საწარმოები,
ორგანიზაციები და დაწესებულებები ხელშეკრულებების შესაბამისად.

7. რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის მსმენელები ვალდებული
არიან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სრულყონ თავიანთი პროფესიული ცოდნა, უნარი და ჩვევები, საკუთარი თვისებები, აიმაღლონ იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონე;

— შეასრულონ სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით დადგენილი ყველა სახის სასწავლო სამუშაოები;

— გამოსაშვებ სამუშაოებში გადაწყვიტონ წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანები;

— შეიტანონ წინადადებანი სასწავლო პროცესის, იდეურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის სრულყოფის, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;

—განუხრელად შეასრულონ ინსტიტუტის შინაგანაწესის მოთხოვნები.

8. მსმენელებს დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად შეუძლიათ გაიარონ სტაჟირება სამინისტროებში, უწყებებში, მოწინავე საწარმოებში, წამყვან სამეცნიერო ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის საზღვარგარეთ, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სწავლებისათვის დადგენილ ვადას — ორ თვეს.

9. მსმენელთა მიერ მიღებულ ცოდნას აფასებენ საგანგებოდ შექმნილი კომისიები, რომელთა შემადგენლობას ამტკიცებს ინსტიტუტის რექტორი.

10. მსმენელებს, რომლებიც იმაღლებენ კვალიფიკაციას, სასწავლო გეგმის ყველა მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში ეძლევათ დადგენილი წესით დამტკიცებული ნიმუშის მოწმობა, ხოლო, რომლებიც გადიან გადამზადებას — დიპლომი;

მსმენელი, რომელიც არ შეასრულებს სასწავლო გეგმას, ან უხეშად დაარღვევს შინაგანაწესს, რექტორის ბრძანებით გაირიცხება ინსტიტუტიდან და მიეცემა შესაბამისი ცნობა.

სწავლის შედეგები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში მუშაკის ატესტაციის, თანამდებობრივი გადაადგილების, ასევე ხელფასის ოდენობის დადგენის დროს.

11. მსმენელებს სამუშაოსაგან მოუწყვეტლად სწავლების პერიოდში ენახებათ საშუალო ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილას. სხვა ქალაქებიდან (რაიონებიდან) ჩამოსულ მსმენელებს პირველი თვის განმავლობაში უნაზღაურდებათ სამივლინებო ხარჯები, შემდგომ პერიოდში კი, მათ, რომელთაც 200 მანეთზე ნაკლები ხელფასი აქვთ, ეძლევათ სტიპენდია 40 მანეთის ოდენობით.

სწავლების პერიოდში მსმენელები უზრუნველყოფილი არიან სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ინსტიტუტი მსემენელს ვერ უზრუნველყოფს საერთო საცხოვრებლით, სასტუმროში მისი ცხოვრების ხარჯები უნდა ანაზღაურდეს სსრკ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 18 მარტის № 351 დადგენილების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალი

12. ინსტიტუტის საშტატო თანამდებობებს ადგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესაბამისად.

13. ინსტიტუტის სასწავლო სემესტრები შეესაბამება უმაღლესი სასწავლებლებისათვის დაწესებულ სემესტრების პერიოდს (1 სექტემბრიდან 31 იანვრამდე და 1 თებერვლიდან 30 ივნისამდე).

14. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა რიცხვი განისაზღვრება იმ ანგარიშით, რომ მსმენელთა კონტინგენტის საშუალო წლიური რაოდენობა ერთ მასწავლებელზე უნდა მოდიოდეს 25 პროცენტით ნაკლები იმ უმაღლესი სასწავლებლისათვის დაწესებულ ნორმასთან შედარებით, რომელიც ამზადებს კადრებს მოცემულ სპეციალობაში. ინსტიტუტის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ მასწავლებელთა ამ რიცხვს განსაზღვრავს ინსტიტუტის რექტორი.

15. ინსტიტუტსა და მის ფილიალში პროფესორ-მასწავლებელთა თანამდებობების დაკავება, ატესტაცია, აგრეთვე მათი გათავისუფლება წარმოებს უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი პირობების შესაბამისად.

ინსტიტუტის ფილიალში პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის არჩევნები ტარდება კონკურსის გამოცხადებით ინსტიტუტის ან მისი ფილიალის სამეცნიერო საბჭოზე რექტორის გადაწყვეტილებით.

16. საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პროფესორ-მასწავლებელთა სამუშაოდან გათავისუფლება მუშაობის მოცულობის შემცირებასთან დაკავშირებით წარმოებს დადგენილი წესით 31 იანვრისა და 30 ივნისის შემდეგ;

17. ინსტიტუტის ხელმძღვანელი მუშაკების, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურება წარმოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

18. ინსტიტუტში სამეცნიერო-პედაგოგიურ და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობა ითვლება სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სტაჟად დადგენილი წესის შესაბამისად.

სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც ინსტიტუტში ან მის ფილიალში მიღებულნი არიან პედაგოგიურ სამუშაოზე, წინა ადგილებზე ხელმძღვანელ და წამყვან სპეციალისტად მუშაობის ორო რექტორის გადაწყვეტილებით ეთვლებათ სამეცნიერო-პედაგოგიურ სტაჟად.

19. ინსტიტუტში სასწავლო პროცესს ახორციელებენ შტატიანი მასწავლებლები, წამყვანი მეცნიერები, თვალსაჩინო სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკები, ახალ ტექნიკურ გადაწყვეტილებათა, ტექნოლოგიურ პროცესთა დამმუშავებლები, წარმოების ნოვატორები, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობენ საშტატო შეთავსებისა და საათობრივი ანაზღაურების წესით.

20. ინსტიტუტის განაცხადის საფუძველზე საწარმოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ნებართვით მაღალკვალიფიციური სპეციალისტებიმიეთმძღვება გაგზავნილი იქნან მსმენელებთან მეცადინეობის ჩასატარებლად საშტატო მეთავსებისა ან საათობრივი ანაზღაურების წესით, მათ შორის სამუშაო დროის პერიოდში 4 საათამდე კვირაში ძირითად სამუშაოზე ხელფასის შენარჩუნებით.

21. უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებს უფლება ეძლევათ ეწეოდნენ ინსტიტუტში პედაგოგიურ მუშაობას საშტატო შეთავსებისა და საათობრივი ანაზღაურების წესით.

22. ინსტიტუტის, მისი ფილიალის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული საათობრივი ფონდის სახსრებს ადგენენ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში.

23. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას უფლება აქვს:

— ისარგებლოს ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკით, ლაბორატორიებით, კაბინეტებით, აუდიტორიებით, სამკითხველო დარბაზებით, ბიბლიოთეკებითა და საინფორმაციო ფონდებით, სხვა სასწავლო-დამხმარე ქვედანაყოფებით;

— მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტის, მისი ფილიალის საქმიანობის განხილვაში საბჭოების სხდომებზე;

— შეიმუშაოს და შეიტანოს წინადადებანი სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის თაობაზე;

— დადგენილი წესით აწარმოოს სამეცნიერო მუშაობა საშტატო შეთავსების პირობებში ძირითად სამუშაო ადგილზე ან სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებში, უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო ქვეგანაყოფებში;

— დადგენილი წესით ჩაატაროს კონსულტაციები საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

— განახორციელოს კადრების მოკლევადიანი სწავლება საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხელშეკრულების საფუძველზე ძირითად სამუშაო ადგილზე ნებართვის გაუფორმებლად;

—მონაწილეობა მიიღოს დადგენილი წესით საკავშირო, რესპუბლიკურ, დარგობრივ, დარგთაშორის, აგრეთვე საერთაშოისო კონფერენციებში;

24. რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის პოფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა ვალდებულია:

— მაღალ იდეურ-პოლიტიკურ, პროფესიულ და მეცნიერულ დონეზე ჩაატაროს სასწავლო აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობა თავისი სპეციალობის მიხედვით;

— სისტემატურად აიმაღლოს იდეურ-პოლიტიკური დონე, სრულყოს თავისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები. პედაგოგიური ოსტატობა;

— ჩაატაროს მეცნიერული კვლევა, მონაწილეობა მიიღოს მიღებული შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვის საქმეში, აქტიურად გამოიყენოს მეცნიერული მიღწევები სასწავლო პროცესში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რეგულარულად შეისწავლოს, განაზოგადოს და გაავრცელოს ეროვნულ-სამეურნეო-ეკონომიური ... სებების, საყაომოების, ოოგანიზაციებისა და დაწესებულეაების პრაქტიკაში გა-ანცდილება;

— დახმარება გაუწიოს მსმენელებს დამოუკიდებელი მუშაობის ოოგანიზაციაში.

25. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა იმაღლებს კვალიფიკაციას, ოაც ხორციელდება:

— მოკლევადიანი (საჭიროებისამებრ), აგრეთვე ხანგრძლივი პერიოდული (არანაკლებ ეოთხელ შაიხც ხუთ წელიწადში) სწავლების გავლით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის აკადემიაში, სახალხო-სამეურნეო კომბინატების ძათვის უძაღლეს სკოლებსა და სხვა წაძყვან სასწავლო დაწესებულებებში;

— მოწიხავე საწარმოებსა და ორგანიზაციებში მასწავლებელთა ყოველწლიური სტაჟირებით (ერთ თვემდე ხახგრძლივობით), აგრეთვე მათი თანხმობით ერთ წლამდე ვადით სამუშაოზე გაგზავნით სპეციალისტთა თანამდებობებზე;

— უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებსა და სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების სემინარებში სწავლით;

— საზოგადოებათმცოდნე ყველა მასწავლებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტაჟირებით ხუთ წელიწადში ერთხელ ოთხ თვემდე ვადით სამუშაოსაგან მოუწყვეტლად სასწავლო დაწესებულების მდებარეობის ადგილას პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, საჭიროების შემთხვევაში კი — პარტიულ კომიტეტებში.

26. ინსტიტუტის (ქვედანაყოფების) ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სასწავლო-დამხმარე პერსონალის ვაკანტური ადგილების დაკავება ხორციელდება ინსტიტუტის რექტორის ბრძანებით.

ინსტიტუტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სასწავლო-დამხმარე პერსონალის უფლებები და ბოვალეობანი განისაზღვრება რექტორის მიერ დამტკიცებული მინაგანაწესით და თანამდებობრივი ინსტრუქციებით.

ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა

27. ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება წარმოებს სამუშაოსაგან მოწყვეტით, მოუწყვეტლად ან ნაწილობრივი მოწყვეტით. სწავლების ვადები და ფორმები დგინდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 თებერვლის № 166 დადგენილების № 2 დანართის და სსრ კავშირის მთავრობის სხვა გადაწყვეტილებების შესაბამისად.

28. სწავლება წარმოებს სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი წესით დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად.

რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტი ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებასთან დაკავშირებით

სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოთხოვნების შესწავლის საფუძველზე აყალიბებს თითოეული სასწავლო ჯგუფის სწავლების მიზანს, რაც აისახება სასწავლო გეგმაში. სწავლების შინაარსი, მეთოდები და საშუალებანი განისაზღვრება მოცემული მიზნის შესაბამისად.

მსმენელთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების დონის დადგენისათვის ხორციელდება სათანადო შემოწმება საჯაროდ არსებული თანამედროვე მეთოდების, მათ შორის ტესტირების გამოყენებით. შემოწმების შედეგების საფუძველზე ხდება სასწავლო-თემატური გეგმების კორექტირება, განისაზღვრება მსმენელებთან ინდივიდუალური მუშაობის ფორმები.

29. სასწავლო მეცადინეობების ძირითადი სახეობებია: ლექციები, პრაქტიკული, სემინარული და გასვლითი მეცადინეობები, საქმიანი, ორგანიზაციულ-საქმიანი და ინოვაციური თამაშობები, როლების გათამაშება, თამაშის სახის საწარმოო პროექტირება, იმიტაციური სავარჯიშოები, კონკრეტულ ვითარებათა გარჩევა, გამოცდილების გაზიარების სემინარები, სტაჟირება, საკოხტროლო, საკურსო და გამოსაშვები სამუშაოები, კონსულტაციები, მსმენელთა დამოუკიდებელი მუშაობა და სხვა.

ინსტიტუტში სასწავლო მეცადინეობა ტარდება ცხრილის მიხედვით.

მსმენელთა მოსწრება კვალიფიკაციის აძაღლებისა და გადამზადების დროს განისაზღვრება შემდეგი შეფასებებით :„ფრიადი", „კარგი", „დაძაკმაყოფილებელი", „არადამაკმაყოფილებელი", „ჩაეთვალა".

30. ინსტიტუტი ახორციელებს სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას სწავლებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესების, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფის, სასწავლო პროცესში აქტიური სწავლების მეთოდების, გამომთვლელი ტექნიკის, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენების სრულყოფის მიზნით და სხვ.

ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

31. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად ამოცანებს შეადგენს:

— კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემის მეცნიერული პოტენციალის ეფექტური გამოყენება სახალხო მეურნეობის განვითარების მეცნიერული და სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად;

— მსმენელთა სწავლების ხარისხის ამაღლება სასწავლო პროცესში მეცნიერული კვლევის შედეგების აქტიური გამოყენებით;

— პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლება;

— სახალხო მეურნეობაში მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვის ორგანიზაცია;

— რესპუბლიკაში კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების აქტუალური ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და სხვა პრობლემების გადაწყვეტა.

32. ინსტიტუტი სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ახორციელებს სასწავლებლებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

33. მეცნიერულ კვლევას ინსტიტუტში ახორციელებენ კათედრები, სამეცნიერო-კვლევითი სექტორი და მათში შემავალი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები.

ინსტიტუტის უფლებები და მოვალეობანი

34. სასწავლო-მეთოდური მუშაობის დარგში:

— შეიმუშაოს და დაამტკიცოს სასწავლო გეგმები და პროგრამები, სასწავლო-თემატური გეგმები;

— გამოსცეს სასწავლო გეგმები და პროგრამები, მეთოდური მითითებები და სხვა სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაცია, ლექციების კონსპექტები და სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოები;

— შეიმუშაოს წინადადებები სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ისინი ზემდგომ ორგანოებს განსახილველად;

— განახორციელოს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემათა გაცვლა და თანამშრომლობა სხვა სასწავლო დაწესებულებებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, საწარმოო გაერთიანებებთან, საწარმოებთან, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან, ქვეყნის სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებთან;

— ძირითადი სამუშაო ადგილის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე მოიწვიოს მაღალკვალიფიციური მუშაკები წლიურად 50 საათამდე მოცულობის პედაგოგიური დატვირთვის შესასრულებლად, ასევე ლექციების კონსპექტებისა და დამხმარე სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოების მოსამზადებლად.

— ჩაატაროს სამეცნიერო და მეთოდური კონფერენციები, სემინარები და თათბირები;

— განახორციელოს პირდაპირი კავშირურთიერთობა უცხოელ პარტნიორებთან.

35. კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის დარგში:

— განახორციელოს კაპიტალური მშენებლობა და ძირითადი ფონდების რეკონსტრუქცია სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა ორგანიზაციებთან დადებული გარიგების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალური მშენებლობის სამუშაოთა წარმოება გარიგებით ეკონომიკურად მიზანშეუწონელია, ეს სამუშაოები სრულდება სამეურნეო წესით.

36. ფინანსების დარგში:

— დადგენილი წესით ჩამოწეროს ბალანსიდან მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი და ხელსაწყოები, აგრეთვე შენობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნაგებობანი, რომლებიც დასანგრევია ახალი ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით, ან გამოსულია მწყობრიდან სიძველის გამო;

— დადგენილი წესით გაგზავნოს მუშაკები სამსახურებრივ მივლინებაში.

37. შრომისა და ხელფასის დარგში:

— შეიმუშაოს და დაამტკიცოს ინსტიტუტისა და მისი ქვედანაყოფების შტატი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული მუშაკთა საერთო რიცხოვნობისა და ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდგომ კი — დამოუკიდებლად;

— დადგენილი წესით დაამტკიცოს და შეცვალოს სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის თანამდებობრივი ხელფასები მოქმედი სქემის დაცვით და დამტკიცებული ხელფასის ფონდის ფარგლებში.

ინსტიტუტის სტრუქტურა

38. ინსტიტუტის სტრუქტურას დადგენილი წესით ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ კი — ინსტიტუტის რექტორი.

39. ინსტიტუტს აქვს ფილიალები, ფაკულტეტები, კათედრები, კათედრების ფილიალები, საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი, ბუღალტერია, სასწავლო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ქვედანაყოფები, სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლები და სხვ. ინსტიტუტსა და მის ფილიალთან შეიძლება შეიქმნას კურსები, რომლის კონტინგენტი დადგინდება ინსტიტუტის მსმენელთა საშუალო წლიური კონტინგენტის გათვალისწინებით.

40. ინსტიტუტის ფილიალი არის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ახორციელებს ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საწარმოო საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით და იქმნება იმ შემთხვევაში, თუ მისი მსმენელების საშუალო წლიური კონტინგენტი შეადგენს არანაკლებ 300 კაცს.

ფილიალს შეიძლება ჰქონდეს ფაკულტეტები, კათედრები, კათედრების ფილიალები, ბუღალტერია და სხვა სასწავლო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ქვედანაყოფები.

41. ინსტიტუტის და მისი ფილიალის ფაკულტეტები წარმოადგენენ ინსტიტუტის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, რომლებიც ახორციელებენ ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას ერთ ან რამდენიმე მომიჯნავე სპეციალობებში. ფაკულტეტი ყალიბდება იმ შემთხვევაში, თუ მისი საშუალო წლიური კონტინგენტი შეადგენს არანაკლებ 100 კაცს.

42. კათედრა არის ინსტიტუტის, ფილიალის, ფაკულტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ახორციელებს სასწავლო, მეთოდურ და მეცნიერულ მუშაობას ერთ ან რამდენიმე მომიჯნავე დისციპლინაში.

43. ინსტიტუტის, ფილიალის ფაკულტეტი და კათედრა (კათედრის ფილიალი) შეიძლება ჩამოყალიბდეს დიდ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, როგორც სასწავლო დაწესებულების განლაგების ადგილას, ასევე სხვა ქალაქებში (დასახლებულ პუნქტებში).

44. ინსტიტუტის, ფილიალის ფაკულტეტი და კათედრა (კათედრის ფილიალი) ხელმძღვანელობს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისათვის დადგენილი მოქმედი დებულებებით.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, სამეცნიერო საბჭო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები

45. ინსტიტუტის მთელ საქმიანობას ხელმძღვანელობს რექტორი, რომელსაც ვაკანტურ ადგილზე კონკურსით ირჩევენ სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

46. ინსტიტუტის ფილიალს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა ინსტიტუტის რექტორის წარდგინებით.

47. რექტორი (დირექტორი) წარმართავს ინსტიტუტის, ფილიალის მთელ საქმიანობას და მთლიანად პასუხისმგებელია მისი საქმიანობისა და მდგომარეობისათვის. ფილიალის დირექტორი თავის საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს ინსტიტუტის რექტორს.

ინსტიტუტის რექტორი, ფილიალის დირექტორი სპეციალური მინდობილობის გარეშე მოქმედებენ ინსტიტუტის, ფილიალის სახელით, წარმოადგენენ მას ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაგებენ ინსტიტუტის, ფილიალის ქონებასა და სახსრებს, აფორმებენ ხელშეკრულებებს, გასცემენ მინდობილობებს (მათ შორის მინდობილობის სხვაზე გადაფორმების უფლებით), ხსნიან ბანკებში ინსტიტუტის, ფილიალის ანგარიშებს.

რექტორი (დირექტორი), თავის რწმუნებათა ფარგლებში, გამოსცემს საინსტიტუტო (საფილიალო) ბრძანებებს შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად, სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს მუშაკებს.

48. ინსტიტუტის სასწავლო მუშაობის ხელმძღვანელობას ახორციელებს პროორექტორი სასწავლო დარგში, სამეცნიერო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა — პროორექტორი სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის დარგში, მუშაობისა მსმენელთა შერჩევისა და დაგეგმვისათვის — პროორექტორი კონტინგენტის შერჩევისა და დაგეგმვის დარგში, რომლებიც ინიშნებიან და თავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი წესით;

49. ინსტიტუტის ფილიალში სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას ხელმძღვანელობს ფილიალის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში, რომელსაც ფილიალის დირექტორის წარდგინებით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ინსტიტუტის რექტორი.

50. ინსტიტუტის, ფილიალის ადმინისტრაციული და სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობა ეკისრება პროორექტორს საერთო საკითხებში, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინიშნება და თავისუფლდება თანამდებობიდან უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი წესით.

51. სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლის მუშაობას ახორციელებს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ინსტიტუტის რექტორი.

52. ინსტიტუტის ფაკულტეტის საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს დეკანი, რომელსაც ირჩევენ უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი წესით.

ფაკულტეტის დეკანების მოადგილეთა თანამდებობა წესდება სასწავლო პროცესის ეფექტიანი ორგანიზაციის ამოცანის წარმატებით შესრულების მიზნით.

53. ინსტიტუტის მთავარი ბუღალტერი ინიშნება და თავისუფლდება თანამდებობიდან რექტორის მიერ, რასაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტთა საბჭოს საქმეთა მმართველობა.

54. ინსტიტუტის ფილიალის მთავარი ბუღალტერი (უფროსი ბუღალტერი მთავარი ბუღალტრის უფლებით) ინიშნება ინსტიტუტის რექტორის მიერ ფილიალის დირექტორის წარდგინებით.

55. ინსტიტუტის, მისი ფილიალის საქმიანობის ძირითადი საკითხების განხილვისათვის იქმნება ინსტიტუტის, ფილიალის სამეცნიერო საბჭო, რომელიც ყალიბდება შემდეგი შემადგენლობით:

— რექტორი (დირექტორი) — თავმჯდომარე, პრორექტორები, ფაკულტეტების დეკანები, კათედრების გამგეები, წამყვანი სტრუქტურული ქვეგანაყოფების უფროსები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფილიალების დირექტორები (სამეცნიერო საბჭოს საერთო შემადგენლობის 50 პროცენტის თარგლებში);

— პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის წარმომადგენლები, რომლებსაც ირჩევენ ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებელთა საერთო კრებებზე ღია კენჭისყრის წესით (სამეცნიერო საბჭოს საერთო შემადგენლობის 25 პროცენტის თარგლებში);

— სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები და მაკალკულაციოლოგი სპეციალისტები, გამოჩენილი მეცნიერები (სამეცნიერო საბჭოს საერთო შემადგენლობის 25 პროცენტის თარგლებში).

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა ხორციელდება უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი პირობების შესაბამისად.

56. ინსტიტუტის თარგლებში დადგენილი წესით იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც აერთიანებენ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას, სასწავლო-დამხმარე პერსონალსა და ინსტიტუტის სხვა მუშაკებს.

ინსტიტუტის ქონება და სახსრები

57. მსმენელთა სწავლებისათვის საჭირო ღონისძიებების ჩატარების, ინსტიტუტის მიერ გაწეული სხვა სახის სამუშაოებისა და მომსახურების დაფინან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სება ინსტიტუტის სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებიდან გადასვლამდე ხორციელდება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ასევე წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდების, სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ანალოგიური დანიშნულების ფონდების, ან კადრების მომზადებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ასიგნებების ხარჯზე.

მსმენელთა სწავლებისათვის საჭირო სახსრების ხარჯვა წარმოებს ინსტიტუტის რექტორის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ინსტიტუტს ხელშეკრულებების შესაბამისად ურიცხავენ სახსრებს ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების სწავლებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

ინსტიტუტში მსმენელთა გამოუცხადებლობის ან გარიცხვის შემთხვევაში მათი სწავლებისათვის გადმორიცხული სახსრები საწარმოებს არ უბრუნდება.

58. ინსტიტუტს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და საბელწოდების აღნიშვნით, ეწევა საქმისწარმოებას, საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას, ანგარიშს აბარებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, წარუდგენს თავის ანგარიშებსა და სხვა ცნობებს სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტს.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 24 ოქტომბრის № 517 დადგენილებით (დანართი № 3)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

1. რექტორატი
2. სამეცნიერო საბჭო
3. სასწავლო მეთოდური განყოფილება
4. სამეცნიერო მეთოდური განყოფილება
5. კონტინგენტის დაკომპლექტების განყოფილება
6. დაუსწრებელი და უწყვეტი სწავლების განყოფილება
7. სწავლების ტექნიკურ საშუალებათა განყოფილება
8. სწავლების აქტიური მეთოდების ლაბორატორია
9. სამეცნიერო კვლევის ორგანიზაციის განყოფილება
10. მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და დანერგვის განყოფილება
11. საგარეო და რესპუბლიკათაშორისი კავშირის განყოფილება
12. საგეგმო-საფინანსო განყოფილება
13. სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება
14. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და თარგმნის განყოფილება
15. საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი
16. ბიბლიოთეკა
17. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება
18. საექსპლუატაციო-ტექნიკური განყოფილება
19. ოპერატიული პოლიგრაფია
20. კანცელარია
21. კადრებისა და სპეცსამუშაოების განყოფილება
22. ავტომეურნეობა
23. საერთო საცხოვრებელი
24. ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალი
25. ფაკულტეტები:
   — ზოგადტექნიკური
   — ეკონომიკური
   — ინფრასტრუქტურის
26. კათედრები:
   — საზოგადოებრივ მეცნიერებათა
   — მართვის მეცნიერული საფუძვლების
   — მართვის პედაგოგიკის; სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის
   — მართვის ავტომატიზებული სისტემების და გამოთვლითი ტექნიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გარემომცველი გარემოსა და შრომის დაცვის
— მანქანათმშენებლობის წარმოების ეკონომიკის, ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის
— ქიმიური და მსუბუქი მრეწველობის წარმოების ეკონომიკის, ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის
— ვაჭრობისა და მომსახურების ეკონომიკის
— ფინანსებისა და აღრიცხვის
— მშენებლობის ეკონომიკის, ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის
— ენერგეტიკის, ელექტრომექანიკისა და ელექტრონიკის წარმოების ეკონომიკის, ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის
— სისტემოტექნიკის
— ინფრასტრუქტურის დარგების ეკონომიკის, ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 24 ოქტომბრის № 517
დადგენილებით (დანართი № 4)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის დროებითი საშტატო განრიგი

მომსახურე პერსონალი	ერთეულთა რაოდენობა
I ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალი	
1. რექტორატი	
რექტორი	1
პრორექტორი სასწავლო მეთოდური მუშაობის დარგში	1
პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში	1
პრორექტორი საერთო საკითხებში	1
პრორექტორი კონტინგენტის დაკომპლექტების დარგში	1
სწავლული მდივანი	1
იურისკონსულტი	1
რექტორის თანაშემწე	1
მდივანი-სტენოგრაფისტი	2
სულ	**10**
2. სახწავლო-მეთოდური განყოფილება	
განყოფილების გამგე	1
უფროსი მეთოდისტი	4
უფროსი ლაბორანტი	2
სულ	**7**
3. სამეცნიერო-მეთოდური განყოფილება	
განყოფილების გამგე	1
უფროსი მეთოდისტი	2
საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი	1
სულ	**4**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურე პერსონალი	ერთეულთა რაოდენობა
4. კონტინგენტის დაკომპლექტების განყოფილება	
განყოფილების გამგე	1
უფროსი ეკონომისტი	2
ეკონომისტ-მეთოდისტი	2
სულ	5
5. დაუსწრებელი და უწყვეტი სწავლების განყოფილება	
განყოფილების გამგე	1
უფროსი მეთოდისტი	2
მეთოდისტი	2
სულ	5
6. სწავლების ტექნიკურ საშუალებათა განყოფილება	
განყოფილების გამგე	1
წამყვანი ინჟინერი	1
უფროსი ინჟინერი	1
ტექნიკოსი	1
უფროსი ლაბორანტი	1
სულ	5
7. სამეცნიერო კვლევის ორგანიზაციის განყოფილება	
განყოფილების გამგე	1
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი	1
უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი	1
უფროსი ინჟინერი	1
სულ	4
8. საგეგმო-საფინანსო განყოფილება	
განყოფილების გამგე	1
მთავარი ეკონომისტი	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურე პერსონალი	ერთეულთა რაოდენობა
მთავარი ბუღალტერი	1
უფროსი ბუღალტერი	4
უფროსი ეკონომისტი	2
ბუღალტერი	1
უფროსი მოლარე	1
სულ	11
9. სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება	
განყოფილების გამგე	1
მთავარი რედაქტორი	1
უფროსი რედაქტორი	2
I კატეგ. მბეჭდავ-მემანქანე	1
სულ	5
10. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და თარგმნის განყოფილება	
განყოფილების გამგე	1
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი	1
უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი	2
სულ	4
11. საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი	
დირექტორი	1
მთავარი ინჟინერი	1
სასწავლო პროცესის კომპიუტერიზაციის განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
ბიუროს უფროსი	1
წამყვანი ინჟინერ-პროგრამისტი	1
I კატ. ინჟინერ-პროგრამისტი	2
II კატ. ინჟინერ-პროგრამისტი	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურე პერსონალი	ერთეულთა რაოდენობა
III კატ. ინჟინერ-პროგრამისტი	1
ინჟინერ-პროგრამისტი	1
ტექნიკური მომსახურების განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
წამყვანი ინჟინერ-ელექტრიკოსი	1
I კატ. ინჟინერ-ელექტრიკოსი	1
II კატ. ინჟინერ-ელექტრიკოსი	1
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა ექსპლუატაციის განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
ოპერატორი	5
სულ საინფორმაციო გამოთვლით ცენტრში	21
12. ბიბლიოთეკა	
ბიბლიოთეკის გამგე	1
წიგნის შენახვისა და მკითხვ. ჯგ. ბიბლიოთეკარი	3
სულ	4
13. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება	
განყოფილების გამგე	1
უფროსი ინჟინერი	1
უფროსი საქონელმცოდნე	1
საწყობის გამგე	1
მტვირთავი	2
I კატეგ. მბეჭდავ-მემანქანე	2
სულ	8
14. ხაელჭბლოატაციო-ტექნიკური განყოფილება	
განყოფილების გამგე	1
უფროსი ინჟინერი	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

| მომსახურე პერსონალი | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურე პერსონალი	ერთეულთა რაოდენობა
მუშა-შემკეთებელი	4
მრეცხავი	1
მძღოლი	5
სულ	14
18. სასწავლო დამხმარე პერსონალი ფაკულტეტებისათვის	
1. ზოგადტექნიკური ფაკულტეტი	
უფროსი მეთოდისტი	4
მეთოდისტი	3
სულ	7
2. ეკონომიკური ფაკულტეტი	
უფროსი მეთოდისტი	4
მეთოდისტი	2
სულ	6
3. ინფრასტრუქტურის ფაკულტეტი	
უფროსი მეთოდისტი	4
მეთოდისტი	3
სულ	7
სულ ფაკულტეტების მიხედვით	20
19. სასწავლო დამხმარე პერსონალი კათედრებისათვის	
1. საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრა	
უფროსი ლაბორანტი	1
სულ	1
2. მართვის მეცნიერული საფუძვლების კათედრა	
უფროსი ლაბორანტი	1
ლაბორანტი	1
სულ	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურე პერსონალი	
3. მართვის პედაგოგიკის, სოციოლოგიის და ფსიქოლოგიის კათედრა	
უფროსი ლაბორანტი	1
სულ	1
4. მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრა	
უფროსი ლაბორანტი	1
ლაბორანტი	1
სულ	2
5. გარემომცველ გარემოსა და შრომის დაცვის კათედრა	
უფროსი ლაბორანტი	1
ლაბორანტი	1
სულ	2
6. მანქანათმშენებლობის წარმოების ეკონომიკის, ორგანიზაციისა და ტექნიკის კათედრა	
უფროსი ლაბორანტი	2
ლაბორანტი	1
სულ	3
7. ქიმიური და მსუბუქი მრეწველობის ეკონომიკის, ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის კათედრა	
უფროსი ლაბორანტი	2
ლაბორანტი	1
სულ	3
8. ვაჭრობის ეკონომიკისა და მომსახურების კათედრა	
უფროსი ლაბორანტი	1
ლაბორანტი	1
სულ	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურე პერსონალი	ერთეულთა რაოდენობა
9. ფინანსების კათედრა	
უფროსი ლაბორანტი	1
ლაბორანტი	1
სულ	2
10. მშენებლობის ეკონომიკის, ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის კათედრა	
უფროსი ლაბორანტი	2
ლაბორანტი	1
სულ	3
11. ენერგეტიკული, ელექტრომექანიკური და ელექტრონული წარმოების ეკონომიკის, ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის კათედრა	
უფროსი ლაბორანტი	2
ლაბორანტი	1
სულ	3
12. სისტემოტექნიკის კათედრა	
უფროსი ლაბორანტი	1
სულ	1
13. ინფრასტრუქტურის დარგების ეკონომიკის, ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის კათედრა	
უფროსი ლაბორანტი	2
ლაბორანტი	1
სულ	3
სულ კათედრების მიხედვით	28
20. ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალი	
დირექტორი	1
უფროსი ბუღალტერი	1
უფროსი მეთოდისტი	2
მეთოდისტი	1
საწარმოო სწავლების ოსტატი	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურე პერსონალი	რაოდენობა
ლაბორანტი	1
მოლარე	1
მდივან-მემანქანე	1
სულ	10
სულ ინსტიტუტში	217

ეროვნული ბიბლიოთეკა

105 პროფესორ გ. ადამიას სახელის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ გიორგი პორფილეს ძე ადამიას სახელის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიეკუთვნოს გ. ადამიას სახელი ხონის რაიონის სოფელ მათხოჯის საექიმო ამბულატორიას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 30 ოქტომბერი. № 520

ინდექსი — 76187
ერთეული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5, 1990 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/II-90 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 6, სააღრიცხვო თაბახი 6

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 114 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა